საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №6

ქ.თბილისი 01.04.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ნანა გაფრინდაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; სხდომის თავმჯდომარე;
მაია ჩიხლაძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას" დირექტორის მოადგილე, მედიცინის დოქტორი; საბჭოს მდივანი;
ირაკლი მაჩაბელი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი;
ზაზა მარუაშვილი - შპს - კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;
ზაზა რუხაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი;
მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;
დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭიღლაძე - კონსულტანტი;
გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ აფრასიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ნინო ბერელიძე - საგანმანათლებლო პროგრამების სამმართველოს კოორდინატორი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

დავით ბოსტოღანაშვილი;
ეკა ლეკაშვილი;
ვასილ კიკუტაძე;
თეიმურაზ პაპასქირი;
რამაზ ქურდაძე;
ნინო ჯაფიაშვილი;
ლაშა ჩახვაძე;
ნანა იაშვილი;
თორნიკე გურული.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს - კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

კახა შენგელია - უნივერსიტეტის რექტორი;
ნუგზარ სხირტლაძე - ვიცე-რექტორი;
ნინო ჩუბინიძე - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
მაია გონაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
დევი ხვედელიანი - სამართლის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი;
ეკატერინე ბაღიშვილი - სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
პაატა ბრეკაშვილი - ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი;

შპს - საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

მანანა სანაძე - რექტორი;
კონსტანტინე თოფურია - კანცლერი;
თინა ღუდუშაური;
სოსო გოგილიძე;
ჯონი მწარიაშვილი;
მაია ნანობაშვილი;
ლელი ბიბილაშვილი;
ნათია კალაძე;
ნანა ფრუიძე.

სხდომა დაიწყო 16:15 საათზე. საბჭოს მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავჯდომარისა და მისი მოადგილის არყოფნის გამო საბჭოს წევრებმა სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ნანა გაფრინდაშვილი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1.შპს - კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2.შპს - კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3.შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4.შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5.შპს - საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6.შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7.შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8.შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9.შპს - საქართველოს უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10.შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11.შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12.შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება ან ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე შუამდგომლობა. ზაზა მარუაშვილმა განაცხადა თვითაცილება 1-4 საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულებასთან თანამშრომლობის გამო.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და სთხოვა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშებსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარეებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნულ დოკუმენტაციას იცნობდნენ.

1. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	06
კრედიტების რაოდენობა	240

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა დავით ბოსტოღანაშვილმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული მოსაზრებები პროგრამის გაუმჯობესების თაობაზე:

- საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია «ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილის» სწავლება.

როგორც ცნობილია, ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილი მოიცავს ისეთ დარგებს როგორიცაა პოლიციის სამართალი, სამშენებლო სამართალი, განათლების სამართალი, გარემოს დაცვის სამართალი და ა.შ. თუმცა, სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით, სასწავლო კურსით გათვალისწინებულია, ძირითადად, სამოხელეო სამართლის სწავლება. გარდა ამისა, განსახილველი თემატიკის ჩამონათვალში მოცემულია ისეთი თემატიკა, რაც ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის ნაწილია. ასევე მნიშვნელოვანია ლიტერატურის ნაწილის დახვეწა და თემატიკასთან შესაბამისობაში მოყვანა. მაგალითად, მე-12 კვირაში ისწავლება სამშენებლო და ეკოლოგიური სამართალი, თუმცა, სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია მხოლოდ სამშენებლო სამართალთან დაკავშირებული რეგულაციები.

სასწავლო კურსის განხორციელებაში ჩართულ ლექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ეს სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტთა ცოდნის გაღრმავებას ადმინისტრაციულ სამართალში.

ამდენად, უნივერსიტეტს აქვს შესაძლებლობა შეცვალოს სასწავლო კურსის დასახელება და გადახედოს სასწავლო კურსის მიზნებს, სწავლის შედეგებსა და თემატიკას ან სასწავლო კურსის თემატიკა შესაბამისობაში მოიყვანოს არსებულ დასახელებასთან, რისთვისაც აუცილებელი იქნება ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილის სრულად სწავლება. თუ უნივერსიტეტი აირჩევს მეორე ვარიანტს, მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას ერთი საგნის ფარგლებში კერძო ადმინისტრაციული სამართლის ყველა დარგის სწავლების შესაძლო ზედაპირულობის რისკი.

- საგანამანთლებლო პროგრამა ითვალისწინებს ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სწავლებას. სილაბუსის მიხედვით, მე-3 კვირაში ისწავლება ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები. მითითებული ტერმინის «კანონის ნდობის პრინციპი» ნაცვლად უნდა ჩაიწეროს დამკვიდრებული, კანონით გათვალისწინებული «კანონიერი ნდობის პრინციპი».

სილაბუსით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებების სწავლება. ზოგადი დებულებები დაყოფილია ორ ნაწილად და ისწავლება მე-11 და მე-12

კვირაში. მე-11 კვირაში განსახილველი საკითხები შედის წარმოების ზოგად დებულებებში, თუმცა, მე-12 კვირაში მოცემული საკითხები (ადმინისტრაციული წარმოება კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში; ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება; საჯარო ადმინისტრაციული წარმოება) ცდება წარმოების ზოგადი დებულებების თემატიკას. ამდენად, მიზანშეწონილია სილაბუსის ამ ნაწილის გადამუშავება და წარმოების სახეებთან დაკავშირებული საკითხების ცალკე სწავლება ან ასევე შესაძლებელია მე-12 კვირაში არსებული ზოგადი დებულებების გადატანა მე-11 კვირაში და მე-12 კვირაში განსახილველი თემატიკის დასახელების შეცვლა.

- სასურველია ცალკეულ შემთვევებში დაზუსტდეს ზოგიერთ სილაბუსში მითითებული სწავლის შედეგები. მაგალითად, საგნებში: - სამოქალაქო პროცესი I და II, შრომისა და საქმისწარმოების სამართალი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, სწავლის შედეგების კომუნიკაციის უნარში მოცემულია, რომ სტუდენტს შეეძლება წერილობითი და ზეპირი ფორმით საკუთარი მოსაზრებები, დასკვნები და არგუმენტები მშობლიურ და ინგლისურ ენებზე გადასცეს პრაქტიკოს იურისტებს, სხვა პროფესიულ და აკადემიურ საზოგადოებას.

- სასურველია ზოგიერთ სილაბუსში განახლდეს მითითებული ნორმატიული მასალა, კერძოდ: ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სილაბუსში მითითებულია საქართველოს კანონი ,,უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ". აღნიშნულ კანონს 2012 წლის 25 მაისს შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა საქართველოს კანონი ,,უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ".

მუნიციპალური სამართლის სილაბუსით გათვალისწინებული საქართველოს კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების შესახებ" 2006 წლის 7 დეკემბრიდან ძალადაკარგულად არის ცნობილი. ამავე სილაბუსში მითითებულია საქართველოს კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი შესახებ" 2009 წლის 18 დეკემბრიდან ძალადაკარგულადაა ცნობილი. ამავე სილაბუსით გათვალისწინებული საქართველოს კანონი ,,ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ" 2009 წლის 28 დეკემბრიდან ძალადაკარგულადაა ცნობილი. ამასთან სასურველია აღნიშნული სილაბუსის სასწავლო კურსის შინაარში გათვალისწინებული იყოს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" სწავლება.

- სასურველია ქართული სამართლის ისტორიის სილაბუსში დაზუსტდეს ცოდნა-გაცნობიერების ნაწილი და სათანადოდ აისახოს ქართული სამართლის ისტორიული წყაროები, თუმცა პროგრამის შედეგებში ზემოაღნიშნული უნარი გათვალისწინებულია, რაც დასტურდება სილაბუსის შინაარსითაც.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა ეკა ბაღიშვილმა გააცნო მათი პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებთან მიმართებით:

- გათვალსიწინებულ იქნა ექსპერტთა რეკომენდაცია და განხორციელდა ცვლილებები ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილის სასწავლო კურსში, კერძოდ, თემატიკას დაემატა განათლების, გარემოს დაცვისა და საპოლიციო სამართლის ზოგადი საკითხები, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ თემების სიღრმისეული შესწავლა არ იყო მიზანშეწონილი ბაკალავრიატში.

- ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის კურსში ტერმინი „კანონის ნდობის პრონციპი“ ტექნიკურ უზუსტობას წარმოადგენდა და ჩასწორდა კანონით დამკვიდრებული ტერმინით „ კანონიერი ნდობის პრინციპი“. რაც შეეხება ამავე სილაბუსში ადმინისტრაციული წარმოების ზოგადი დებულებების სწავლებას შესაბამის კვირეებში და საკითხთა გადანაწილებას, ლექტორის მოსაზრებით, ეს მისი აკადემიური თავისუფლების ნაწილია და თემათა შერჩევა და გადანაწილება სწორად იყო განხორციელებული;
- ექსპერტთა მიერ მითითებულია რამდენიმე სილაბუსი, რომლის სწავლის შედეგები საჭიროებენ დაზუსტებას კომუნიკაციის უნარის კუთხით. უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის სკოლის ყველა სასწავლო კურსი, გარდა საპროცესო საგნებისა (რომლებიც მოიცავს იმიტირებულ პროცესს), ითვალისწინებს რეფერატის მომზადებას და მის საჯარო პრეზენტაცია-დაცვას.აღნიშნული კომპონენტი უვითარებს მას ყველა იმ უნარ-ჩვევას, რომელიც მოეთხოვება კომუნიკაციის კუთხით, კერძოდ: სტუდენტი მოიძიებს ქართული და უცხოური წყაროებიდან ინფორმაცია, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობითი ფორმით გადასცემს მას აუდიტორიას, აკეთებს რა აქცენტებს არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზებზე, შემოქმედებითად იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. აღნიშნული სრულად შეესაბამება უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის შედეგებს. კომუნიკაციის უნარის კუთხით. რაც შეეხება რეკომენდაციაში მითითებულ შედეგს სტუდენტის მიერ საკუთარი დასკვნების და არგუმენტების პრაქტიკოსი იურისტების, სხვა პროფესიული და აკადემიური საზოგადოებისთვის მშობლიურ და ინგლისურ ენაზე გადაცემის თაობაზე, მას ითვალისწინებდა ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სასწავლო კურსი, რაც რეკომენდაციის საფუძველზე გასწორდა.
- პროგრამა მუდმივად განიცდიდა დახვეწას და ცვლილებას სწავლების ხარისხის განვითარების მოთხოვნილებათა შესაბამისად, რაც ასევე ითვალისწინებს სილაბუსების მუდმივ განახლებას. ადამიანის ძირითადი უფლებების სა თავისუფლებების სილაბუსში მითითებული კანონის სახელწოდების ცვლილების არ ასახვა ტექნიკური ხასიათის შეცდომა იყო, რომელიც გაიპარა სილაბუსების განახლების პროცესში. მუნიციპალური სამართლის სილაბუსებით გათვალისწინებული ძალადაკარგული კანონების შესახებ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შედარებითი და სისტემური კვლევის მეთდით, ძველი და მოქმედი კანონმდებლობის მიმოხილვა საყოველთაოდ აღიარებული მოვლენა იყო, რაც ხელს უწყობდა ზოგადად, სამართლებრივი ანალიტიკის განვითარებას. შესაბამისად, მათი მითითება სილაბუსში გამართლებული იყო. წარმომადგენლმა აღშნა, რომ სილაბუსის დამუშავების მომენტისათვის საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ არ იყო ძალაში შესული, იგი ძალაში 2014 წლის 21 თებერვალს შევიდა, სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ არ მოხდა მისი გათვალისწინება სილაბუსში, რადგან პროექტის სწავლების აუცილებლობა არსებული სტანდარტებით არ იყო გათვალისწინებული.
- მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებიტ წარმომადგენელმა საბჭოს განუმარტა, რომ გათვალისწინებულ იქნა რეკომენდაცია და ქართული სამართლის ისტორიის სილაბუსში დაზუსტდა ცოდნა-გაცნობიერების ნაწილი და სათანადოდ აისახა შესაბამისი ისტორიული წყაროები.

საბჭოს წევრმა, ირაკლი მაჩაბელმა საბჭოს შეახსენა, რომ წინა სხდომაზე განუმარტეს მხარეებს, რომ ვიზიტის შემდეგ მიღებულ დოკუმენტაციას საბჭოს მხედველობაში არ მიიღებდა, ამდენად, მნიშვნელოვანი იყო, შესაბამისი ცვლილებების გარეშე რამდენად უზრუნველყოფდა პროგრამა სასურველ შედეგებზე გასვლას.

ექსპერტმა, დავით ბოსტოღანაშვილმა აღნიშნა, რომ შესაბამისი ცვლილების გარეშეც პროგრამის შედეგებზე გასვლა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა,

საბჭოს წევრმა, ზაზა რუხაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული სამსახურისთვის, ამასთან, აღნიშნა, რომ იცნობდა პროგრამას და არ გაიზიარა ექსპერტის პირველი რეკომენდაცია. მისი თქმით, დანარჩენ შემთხვევებში მხოლოდ ტექნიკურ შეცდომებზე იყო საუბარი.

საბჭოს წევრმა, ნანა გაფრინდაშვილმა დადებითი შეფასება პროგრამა და მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, სამომავლოდ რა გეგმები ჰქონდათ ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, კახა შენგელიამ აღნიშნა, რომ დაწესებულება თანამშრომლომდა მსოფლიოს 86 ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ამდენად, სტუდენტებს მობილობის მხრივ კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ. ამჯერად თანამშრომლობდნენ ავსტრიის მხარესთან, ამ მიზნით ავსტრიის მთავრობის წარმომადგენელბთანაც ჰქონდათ შეხვედრა თანამშრომლობა მიზნად ისახავდა და სამომავლოდ პირველი ავსტრიული უნივერსიტეტის გახსნას.

2. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	06
კრედიტების რაოდენობა	180

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა დავით ბოსტოღანაშვილმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული მოსაზრებები პროგრამის გაუმჯობესების თაობაზე:

- სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ცოდნა, რაც უნდა დასტურდებოდეს წარმოდგენილი B2 დონის სერტიფიკატით. სასურველია ასეთი სერთიფიკატის წარდგენის გარდა გათვალისწინებული იყოს სხვა ალტერნატიული შიდა საუნივერსიტეტო მექანიზმიც (მაგ. გამოცდა უცხო ენაში), რაც ჩარიცხვის კანდიდატს სერტიფიკატისა არქონის შემთხვევაში შესაძლებლობას მისცემს დაადასტუროს შესაბამისი კომპეტენცია;
- დასაქმების ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებითა და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უკეთესად უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების ფარგლებში, თუნდაც არჩევითი კურსის სახით შეთავაზებული იყოს ისეთი სასწავლო კურსი, რომელშიც ასახული იქნება კურიკულუმისა და სილაბუსების შედგენის მეთოდიკა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა დევი ხვედელიანმა გააცნო მათი პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა გაიზიარა ექსპერტთა რჩევა უცხო ენის ცოდნის დადგენისას სერთიფიკატის წარმოდგენის გარდა გაეთვალისწინებინა შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა. მისი თქმით, რეალურად, პრაქტიკაში მართლაც გათვალისწინებული ჰქონდათ გამოცდა უცხო ენაში ამ კატეგორიის კანდიდატურებისთვის, თუმცა, სამწუხაროდ აღნიშნული პროგრამაში ასახული არ ჰქონდათ.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამა არა თუ არჩევით, არამედ სავალდებუილო ბლოკში ითვალისწინებდა „სწავლების ინოვაციური მეთოდების" კურსს, რომელიც სპეციალურად იყო შესული პროგრამაში და მიზნად ისახავდა სწავლების საუკეთესო გამოცდილებაზე დაფუძნებული კომპეტენციებით აუდიტორიის მართვას, სასწავლო რესურსების შერჩევასა და სასწავლო პროცესის დაგეგმვას. აღნიშნული სასწავლო კურსი სწავლების მეთოდებთან ერთად ითვალისწინებდა დოქტიორანტთა შეფასების ისეთ მეთოდს, როგორიცაა სადემონტრაციო ლექციის დაგეგმვა და გაძღოლა. წარმოდგენილი დისციპლინის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების აუცილებელი კომპონენტი იყო ლექციის დაგეგმვა და გაძღოლა, რაც ფასდებოდა შესაბამისი ქულით და მოიცავდა შემდეგ კომპონენტებს: ლექციის დაგეგმვა და სალექციო

თემის ფლობა, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება, პრეზენტაბელურობა, აუდიტორიის დამორჩილება. მისი თქმით, სილაბუსში საგანგებოდ ჰქოდა დათმობილი ადგილი სალექციო თემატიკას, რომელიც ეძღვნებოდა საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირებას, ბოლონიის პროცესს, უმაღლესი სკოლის ადმინისტრირებას, ხარისხის მართვას უმაღლეს სკოლაში, სტუდენტთა აზრის კვლევას. სწავლების პროცესში შეძენილი ცოდნის გამოსავლენად და სტუდენტის შესაფასებლად დასკვნითი გამოცდა ითვალისწინებდა სილაბუსის შედგენას დოქტორანტის მიერ და მის აპრეზენტაციას, რაც ასევე ექვემდებარება შეფასებას. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას რომ სამართლის სადოქტორო პროგრამა ორიენტირებული იყო იმაზე, რომ აღეზარდა შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და მოთხოვნადი სპეციალისტები, რომლებსაც გამომუშავებული ქენებოდათ როგორც სწავლების, ისე სილაბუსის შედგენის უნარები, ეცოდინებოდათ სწავლების თანამედროვე მეთოდიკა და უმაღლესი სკოლის ადმინისტრირების სპეციფიკა.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა ნინო ჩუბინიძემ აღნიშნა, რომ პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი სილაბუსი ითვალისწინებდა დასკვნით გამოცდის სახით სილაბუსის შედგენას, რისთვისაც შესაბამისი შეფასებაც იყო გათვალისწინებული, ამდენად, აღნიშნული გათვალისწინებული იყო.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სასწავლო კურსი უზრუნველყოფდა შესაბამისი უნარების გამომუშავებას და სათანადო შედეგებზე გასვლას. სილაბუსის ავტორი იყო ზვიად მიმინოშვილი, რომელმაც რეკომენდაციების გაცნობის შემდეგ საკმაოდ ვრცელი დასკვნა შეადგინა და შეეძლოთ საბჭოსთვისაც წარედგინათ შესაბამისი დოკუმენტი.

ექსპერტმა, დავით ბოსტოღანაშვილმა აღნიშნა, რომ გარკვეული საკითხები მართლაც ისწავლებოდა პროგრამაში, თუმცა, ექსპერტის მოსაზრებით, უმჯობესი იქნებოდა თუ საკითხები მეტი მოცულობით იქნებოდა წარმოდგენილი, აღნიშნული სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება გახლდათ, პროგრამის განმახორციელებლებს შეეძლოთ გაეთვალისწინებინათ იგი, ან არ გაეთვალისწინებინათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა კვლავ აღნიშნა, რომ პროგრამით უზრუნველყოფილი იყო საჭირო საკითხების სწავლება და სათანადო შედეგებზე გასვლა.

უცხო ენასთან დაკავშირებით დაფიქსირებული რეკომენდაციიის შესახებ დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს იყო მთიანად საუნივერსიტეტო მიდგომა, საგანმანათლებლო პროგრამა ვერ უნდა დაესრულებინა სტუდენტს, რომელმაც არ იცოდა ინგლისური ენა სათანადოდ.

საბჭოს წევრმა ზაზა რუხაძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად არ მიაჩნდა სადოქტორო საფეხურზე კვლავ სასწავლო კურსების შეთავაზება, რომლებიც რაიმე თემატიკის, თუნდაც კურიკულუმის სწავლებისკენ იყო მიმართული, დოქტორანტი კვლევაზე უნდა ყოფილყო ორიენტირებული. ამდენად არ დაეთანხმა ექსპერტის ზემოაღნიშნულ შემოთავაზებას. მისი მოსაზრებით, წარმოდგენილი სახით საგანმანათლებლო პროგრამა ერთერთი წარმატებული პროგრამა იყო. მისი თქმით, დოქტორნატი სამომავლოდ აუცილებლად აუდიტორიაში არ იქნებოდა წარმოდგენილი, სადოქტორო პროგრამა კარგი მკვლევრების მომზადებაზე უნდა ყოფილიყო მიმართული, იურისტი იყო მაღალი ინტელექტის ადამიანი, რომელსაც შეეძლებოდა ზოგადიდან კერძოსკენ აზროვნება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრების იყო.

ნანა გაფრინდაშვილმა გაიზიარა ზაზა რუხაძის პოზიცია, მისი მოსაზრებით, სადოქტორო პროგრამაში აღარ იყო აუცილებელი სასწავლო კურსებზე აქცენტის გაკეთება, ამ მხრივ მინიმალიზაციის მომხრე იყო იგი.

დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტის რეკომენდაციის გათვალისწინების შემთხვევაში მნიშვნელოვანი კომპეტენციები გამოუმუშავდებოდა დოქტორანტს, კურსდამთავრებულს მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევდა სამომავლო საქმიანობაში კურიკულუმის შედგენის ცოდნა, უკეთ შეძლებდა პროგრამის დაგეგმვას, სასწავლო კურსის წაყვანას და ა.შ. აღნიშნული არაპირდაპირ იყო კიდეც გამოკვეთილი, თუმცა, უფრო მკაფიოდაც შეიძლებოდა მისი წარმოჩენა. დავით კახნიაშვილმა, აღნიშნულის მიუხედავად, მთლიანობაში, გაიზიარა ზაზა რუხაძის მოსაზრება, ამასთან, მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს მაღალი დონის კურსდამთავრებულების გამოშვებისათვის.

3. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	02
კრედიტების რაოდენობა	180

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, ვასილ კიკუტაძემ, რომელმაც საბჭოს მოახსენა, რომ ექსპერტებს დადებითი წარმოდგერნა შეექმნათ პროგრამაზე, შენიშვნები არ დაფიქსირებულა, თუმცა, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავეს რეკომენდაციები:

- სასურველია, ცალკეული დისციპლინების სილაბუსებში კომპეტენციების სათაურების მიხედვით (ცოდან-გაცნობიერება და ა.შ.) დაჯგუფდეს გაწერილი სწავლის შედეგები, რომელიც ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის სწავლის შედეგების აღმწერის მიხედვით პროგრამაში ისედაც გაწერილია.
- სასურველია სადისერტაციო საბჭოს დებულებაში დაკონკრეტდეს სადისერტაციო ნაშრომის შინაარსისა და ტექნიკური მხარის შესრულებისას წარდგენილი მოთხოვნები (განისაზღვროს სადისერტაციო ნაშრომის მინიმალური სტანდარტი, დაიხვეწოს ნაშრომის მიმართ აკადემიური წერის მოთხოვნები), რათა უზრუნველყოფილი იქნეს სადისერტაციო ნაშრომის შეფასების უფრო მაღალი გამჭრივალეობა, ობიექტურობა და სამართლიანობა;
- სასურველია სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებდეს დისერტაციის დაცვამდე სამეცნიერო პუბლიკაციას საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში, რაც ხელს შეუწყობს დოქტორანტის მიერ რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის უკეთ მიღწევას;

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა, პაატა ბრეკაშვილმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აღნიშნული ისედაც ჰქონდათ პროგრამით გათვაილსწინებული, ამჯერად, სილაბუსებშიც გადაიტანეს. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ შესაბამის დონეს უზრუნველყოფდნენ, პროგრამით უზრუნველყოფილი იყო დასახული მიზნების მიღწევა; ექსპერტთა ჯგუფის მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამცენიერო პუბლიკაციებთან დაკავშირებით, პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე ხელმძღვანელობდნენ ჩრდილო-ამერიკული მოდელი ჰქონდათ აღებული. კვლევითი კომპონენტები წარმოდგენილი იყო სასწავლო კურსებში და მათი სურვილი იყო, დოქტორანტისათვის არ მოეთხოვათ გამოქვეყნება კონკრეტუკლად რომელიმე სემესტრში, ეს უფრო შეზღუდვის დაწესებას ნიშნავდა. ამდენად, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ითვალისწინებდნენ ექსპერტის პირველ რეკომენდაციას, ხოლო მეორე და მესამე რეკომენდაციებთან დაკავშირებით ამ ეტაპზე საკითხს ღიად დატოვებდნენ.

დაწესებულების რექტორმა, კახა შენგელიამ აღნიშნა, რომ პროგრამა დაფინანსებული იყო USAID -ს მიერ სამი მილიონი დოლარით, შესაბამისი ტრენინგი გაიარა რვა ლექტორმა და ხუთმა დოქტორანტმა, მათი მთელი ძალისხმევა მიმართული იყო პროგრამის ხარისხზე.

პუბლიკაციების პროგრამაში გათვალისწინების თაობაზე დაწესებულების წარმომადგენლის პოზიცია არ გაითვალისწინა ნანა გაფრინდაშვილმა, მისი თქმით, კავკასიის უნივერსიტეტი ამკვიდრებდა იმ სტანდარტს, რომელსაც სხვა დაწესებულებები უნდა გაჰყოლოდნენ, მომავალი მკვლევრისათვის მნიშვნელოვანი იყო გამოქვეყნებების მხრივ მოთხოვნების დაწესება, ეს მხოლოდ წაადგებოდა დოქტორანტს. დისერტაციის მინიმალური სტანდარტი გაუიოლებდა სასურველი მიზნის მიღწევას დაწესებულებასაც და დოქტორანტსაც. ნანა გაფრინდაშვილი ასევე დაინტერესდა, რამდენი დისერტაცია იყო დაცული დაწესებულებაში დღეისათვის, ასევე, სამომავლოდ რამდენის მიღებას გეგმავდნენ.

დისერტაციის მინიმალურ სტანდარტთა დაკავშირებით დაწესებულებსი წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აქცენტი ჰქონდათ გაკეთებული სიტყვების რაოდენობაზე, მოცულობა უნდა ყოფილიყო დაახლოებით 30 000 სიტყვა, რაც დაახლოებით 80 გვერდს შეადგენდა.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ასეთი სახით პროგრამის ორგანიზება განპირობებული იყო USAID-ის მოთხოვნით, ვინაიდან გათვალისწინებული იყო შესაბამისი დაფინანსება მათი მხრიდან, ასევე აუცილებელი იყო შესაბამისი მითითებების გათვალისწინებაც. ამ ეტაპზე მხოლოდ ოთხს მიენიჭა ხარისხი. დაწესებულების ხედვით, პროგრამაზე უნდა მიეღოთ მაქსიმუმ ხუთიდოქტორანტი.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ შესაბამისი სფეროში მხოლოდ ოთხი კატეგორიის ჟურნალი იყო, 1-2 კატეგორიაში ნაშრომის გამოქვეყნება გარკვეულ სირთლეებთან იყო დაკავშირებული, თავად პროცესი 2-3 წელი გრძელდებოდა, ამდენად, მიზანშეწონილად არ მიიჩნევდნენ ასეთი მოთხოვნის დოქტორანტისათვის დაწესებას, ეს დოქტორანტს ხელს შეუშლიდა ყოფილიყო დისერტაციაზე ორიენტირებული.

ნანა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში შეიძლებოდა ეს ყოფილყო უბრალოდ რეფერირებადი ჟურნალი.

ირაკლი მაჩაბელი დაინტერესდა, პროგრამაში ხელმძღვანელთან ერთად თანახელმძღვანელის მითითება ხომ არ ნიშნავდა იმას, რომ ერთობლივ პროგრამასთან ჰქონდათ საქმე.

კახა შენგელიამ საბჭოს განუმარტა, რომ წარმოდგენილი იყო სწორედ ერთობლივი პროგრამა, ამ მიზნით დამყარებული ჰქონდათ შესაბამისი კჯონტაქტები, შექმნილი იყო ერთიანი საბჭოები და ა.შ.

ირაკლი მაჩაბელმა აღნიშნა, რომ მოეწონა პროგრამაში ჩამოყალიბებული სწავლის შედეგების ფორმულირებები, მისი ლაკონკურობა და შესატყვისობა. მისი მოსაზრება გაიზიარა ზაზა რუხაძემაც.

დაწესებულების რექტორმა, კახა შენგელიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს თანამშრომლობისთვის და ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების პროგრამები იყო წამგებიანი ფინანსურად და მთლიანად ხარისხზე ორიენტირებული, თუმცა, დაფინანსების მეშვეობით ახერხებდნენ მის განხორციელებას.

4. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ეკონომიკის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0701
კრედიტების რაოდენობა	180

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, ეკა ლეკაშვილმა, რომელმაც, თავდაპირველად ყურადღება გაამახვილა პროგრამის ძლიერ მხარეებზე. მისი თქმით, საქმე ჰქონდათ ერთერთ ძალიან კარგ სიახლესთან, პროგრამა იყო ახალი, სასწავლო პროცესი - გამართული, მთლიანობაში პროგრამა იყო განხორციელებადი. პროგრამაში გამოყენებული მიდგომა იყო ინოვაციური შემოთავაზება სადოქტორო პროგრამისთვის. პროგრამის განხორციელებას ასევე ხელს უწყობდა ფლორიდას უნივერსიტეტთან თანამშრომლობა და დაწესებულების სესაძლებლობა, გაეთვალისწინებინათ უცხოური გამოცდილება.

ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ პროგრამაში გაუმჯობესებისკენ მიმართულიცვლილებები დახვდათ განხორციელებული ექსპერტებს, ვიზიტის დროს, პროგრამით უზრუნველყოფილი იყო სტანდარტების არა მინიმალურად, არამედ, მაღალ დონეზე დაკმაყოფილება. შემუშავებული იქნა რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, თუმცა, ერთერთ შემთხვევაში აქ საქმე ეხებოდა სამეცნიერო დონეზე საკამათო საკითხს, რომლის დაფიქსირებაც, მიუხედავად ყველაფრისა, მიზანშეწონილად ჩათვალა.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

-რეკომენდებულია გადამუშავდეს სასწავლო კურსის ,,ეკონომიკური აზრის კონცეფციები და დოქტრინები" სილაბუსი. კერძოდ, დაზუსტებას მოითხოვს სახელწოდება თემატიკიდან გამომდინარე. სასურველია, საკითხების შესწავლაზე კონცენტრირებული სასწავლო მასალის მიხედვით განისაზღვროს სასწავლო კურსის სახელწოდება, რადგან ,,ეკონომიკური აზრის კონცეფციები და დოქტრინები" არასწორი ფორმულირებაა (აზრი - განზრახვის შინაარსით განიხილება, კონცეფცია - შეხედულებათა სისტემის სახით, ხოლო დოქტრინა - მტკიცებების ერთობლიობაა, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკური მექანიზმების ანალიზს, რომელთა საფუძველზეც ეკონომიკური მეცნიერება ვითარდება).

შესაძლებელია კურსის სახელწოდების ფორმირება შემდეგი სახით: ,,ეკონომიკური აზრის ისტორია", ,,ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია", ან ,,ეკონომიკური დოქტრონები" კურსის შინაარსობრივი თემატიკიდან გამომდინარე.

ამასთან, აღნიშნული სილაბუსის მიზანს არ შეესაბამება კურსის თემატიკა. კერძოდ , არ არის განხილული არასრულყოფილი კონკურენციის თეორიები და თანამედროვე აქტუალური დოქტრინები. სასურველია თემატიკაში ჩართული იყოს ქართული ეკონომიკური აზრის განვითარების საკითხებიც;

- პროგრამაში მოცემულია სასწავლო კურსი - ქეისები ეკონომიკაში - ძალაუფლება და ბაზარი, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენაზე.

6)

პროგრამაში წარმოდგენილია მხოლოდ სილაბუსის ინგლისურენოვანი ვერსია; ამასთან, განსხვავებულია საგნის წინაპირობები, კერძოდ, ინგლისურენოვან სილაბუსში წინაპირობად დამატებულია A1 დონის ინგლისური ენის ცოდნა, რაც ასახული უნდა იყოს პროგრამის სასწავლო გეგმაშიც;

ნანა გაფრინდაშვილმა მიუთითა ექსპერტს, საწრო არ იყო ტერმინების განმატრება დასკვნაში. ამასთან, მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა მაია გონაშვილმა, რომელიცმ მისი თქმით, ამშემთხვევაში პროგრამის თანახელმძღვანელს წარმოადგენდა, აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელების მიზნით სამი წელია თანამშრომლობდნენ ამერიკელ პარტნიორებთან, პროგრამის 70% ფლორიდის უნივერსიტეტის გამოცდილებიდან იყო აღებული. ამასთან, გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტი, რომ საქმე არ ეხებოდა არც საბაკალავრო და არც სამაგისტრო პროგრამას, პროგრამის პრინციპი იყო დოქტორანტისათვის ე.წ. „მიქსის" სახით შეეთავაზებინათ ისტორია და დოქტრინები, ასევე გაერთიანებული ჰქონდათ არა მხოლოდ ზემოაღნიშნული სასწავლო კურსის, არამედ სხვა სასწავლო კურსების შემთხვევაშიც. პროგრაა ოთხი დიდი ბლოკის სახით იყო წარმოდგენილი.

წარმომადგენელმა არ გაიზიარა ექსპერტის პირველი რეკომენდაცია. წარმომადგენლის განცხადებით, სასწავლო კურსს „ბაზარი და ძალაუფლება" თავაზობდნენ როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე.

ირაკლი მაჩაბელი დაინტერესდა, აუცილებელი იყო თუ არა დოქტორანტისათვის ეკონომიკური მათემატიკის სწავლა, მისი მოსაზრებით, შესაბამისი სასწავლო კურსი წრამოდგენილი უნდა ყოფილიყო ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში.

მაია გონაშვილმა საბჭოს განუმარტა, რომ აღნიშნული განაპირობა ბაზრის საჭიროებამ, თავდაიოპრველად, პროგრამაზე მუშაობის დაწყებისას, შეისწავლეს ბაზარი, ცოტა იყო წარმოდგენილი მკვლევარი ეკონომისტი, მათემატიკა ეკონომისტებისათვის საჭირო კურსი იყო, თუ დუსერტანტს სურდა აქცენტის სწორედ ამაზე გაკეთება, საშუალებას აძლევდნენ, რომ ლექტორთან ერთად გაეღრმავებინათ ცოდნა. ამ შემთხვევაში, შესაბამისი კურსი სხვა საფეხურზე გათვალისწინებული არ ჰქონდათ.

კახა შენგელიას განცხადებით, მისდგომა ასევე განპირიბებული იყუო იმ ფაქტით, რომ შეზღუდვა არ ჰქონდათ მისაღები კონტინგენტისათვის დაწესებული, შესაბამისი მიმართულებით ხარისხის ქონის სახით, პროგრამაზე სწავლის გაგრძელების სურვლი შეიძლება გამოეთქვა არაეკონომისტსაც.

ზაზა რუხაძემ აღნიშნა, რომ პროგრამაში გამოყენებული მიდგომა, რომელზეც ყურადღება გამახვილდა, პროგრამის პირდაპირი წარმატების მაჩვენებელი იყო.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა, ნინო ჩუბინიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამის შემთხვევაში ერთმანეთს დაემთხვა მთელი რესურსების მობილიზება და ხელსაყრელი გარემოებების წარმოჩენა, ამდენად, ნამდვილად ინოვაციური პროგრამა იყო წარმოდგენილი.

მათი განცხადებით, კავკასიის უნივერსიტეტი იყო ეკონომიკის ბლოკის წარმმართველი, სათანადო დაფინანსების წყალობით, კავკასიის უნივერსიტეტიდან იგეგმებოდა 12 პროფესორის გამგზავრება და გადამზადება, პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილი იყო ტემპუსის პროექტით,

მაია გონაშვილის განცხადებით, ჰქონდათ შესაბამისი შეთანხმება, პროგრამის დოქტორანტს კვლევითი კომპონენტის განხორციელების მიზნით ფლორიდაში გამგზავრების და იქ გამოქვეყნების შესაძლებლობა ეძლეოდა.

17:25 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება, სხდომა განახლდა 17:50 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის პირველ ნახევარში მიღებული გადაწყვეტილებები:

- შპს - კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი-0);
- შპს - კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი-0);
- შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი-0);
- შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი-0);

5. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	არქეოლოგია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	არქეოლოგიის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	1115
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, თეიმურაზ პაპასქირმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ვიზიტის განმავლობაში აკრედიტაციის სტანდარტის დარღვევა არ დაფიქსირებულა, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს შენიშვნები არ ჰქონია, შეიმუშავეს პროგრამის გაუმჯობესებისაკენ მიმართული ერთი რეკომენდაცია:

სასურველია, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შეფასების წესი გაიმიჯნოს და არ იყოს ერთნაირ კომპონენტებზე დაფუძნებული, მით უმეტეს, რომ წინასწარი განაცხადის კრიტერიუმების დონეზე ასეთი გამიჯვნა ისედაც გაკეთებულია.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა, თინა ღუდუშაურმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს თანამშრომლობისთვის, და აღნიშნა, რომ ლოგიკური რეკომენდაცია იყო ექსპერტის მხრიდან წარმოდგენილი და დაწესებულებას იგი უკვე გათვალისწინებული ჰქონდა, შეეძლოთ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენაც.

ირაკლი მაჩაბელმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ წარმოდგენილ პროგრამაში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზება არ იყო მიზანშეწონილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული უკვე გათვალისწინებული ჰქონდათ.

ირაკლი მაჩაბელი დაინტერესდა, როგორ ხდებოდა კრედიტების შედგენა, რატომ ჰქონდა ზოგიერთი სასწავლო კურსს ექვსი, ხოლო ზოგიერთს სამი კრედიტი და ა.შ. ისე ჩანდა, თითქოს პროგრამის განმახორციელებლები ჯერ წერდნენ კრედიტებს, ხოლო შემდეგ თემებს - მის შესაბამისად. რეკომენდაციების თანახმად კი, ჯერ საათები უნდა დათვლილიყო და შემდეგ გამოყვანილიყო კრედიტები მათ შესაბამისად. მისი თქმით, ეს შეეხებოდა ყველა პროგრამას. ასევე, GPA-ის შემოღება საქმის გართულება იყო, ეს ინგლისის და აშშ-ს პრაქტიკა იყო, ხოლო საქართველოში გათვალისწინებული იყო ქულობრივი მაჩენებელი, მარტივად შეიძლებოდა დათვლა და კრედიტებზე გამრავლება.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამის ხელმძღვანელი ათანხმებდა დეპარტამენთთან, ადმინისტრაციასთან რომელ საგანს რამდენი კრედიტი ესაჭიროებოდა.

GPA-სთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს რეალურად საშუალო არითმეტიკული იყო, დაწესებულებაში გათვალისწინებული იყო შესაბამისი წახალისება დაზღვევის, სტიპენდიის სახით ზიგიერთ შემთხვევაში.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იყო ირაკლი მაჩაბელის მითითების გათვალისწინება კრედიტების გამოანგარიშებისას, ამ შემთხვევაში, მისი მოსაზრებით

მხოლოდ სამი კრედიტი არ ექნებოდა დათმობილი პრაქტიკას არქეოლოგიაში. მისი მოსაზრებით, ასევე არ გროვდებოდა 120 კრედიტი სპეციალობაში, რაც ასევე არ იყო მიზანშეწონილი, ხოლო ინგლისური ენისათვის 16 კრედიტი იყო გათვალისწინებული, ასევე არ იყო მიზანშეწონილი არჩევითი კურსების სახით მხოლოდ 12 კრედიტის გათვალისწინება.

ექსპერტმა საბჭოს განუმარტა, რომ უცხო ენის შემთხვევაში გათვალისწინებული იყო საუნივერსიტეტო მოთხოვნა.

წარმომადგენლის განმარტებით, 16 კრედიტის მოცულობით ინგლისური ენის შეთავაზება იგეგმებოდა მათთვის, ვინც არა ინგლისური, არამედ სხვა უცხო ენის გამოცდით ჩაირიცხებოდა პროგრამაზე, ხოლო თუ სტუდენტს შესაბამისი დონე ექნებოდამ, აღარ აიღებდა ინგლისურ 1 და ინგლისურ 2. მათი მოსაზრებით, ასევე აუცილებელი იყო ლათინური ენა და ბერძნული ენა, სტუდენტებს ასევე შეეძლოთ აერჩიათ კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი და სხვა სასწავლო კურსები.

მამია ჯანჯალიამ სთოხვა ექსპერტს დაეზუსტებინა გადიოდა თუ არა მთლიანობაში პროგრამა შედეგებზე. ექსპერტმა დაადასტურა აღნიშნული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პრაქტიკის კრედიტ-მოცულობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სამ კრედიტიანი პრაქტიკა ორი სემესტრის მანძილზე ჰქონდათ გათვალისწინებული, ამდენად, ჯამში 6 კრედიტის მოცულობით სთავაზობდნენ პრაქტიკას პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, წარმოდგენილი იყო 126 კრედიტიანი მოდული, რომელშიც სპეციალობის საგნები წარმოდგენილი არ იყო 120 კრედიტის მოცულობით, შემდეგ მოდულში კი ჭარბად იყო წარმოდგენილი უცხო ენა, აგრეთვე, მცირე მოცულობის, 12 კრედიტის ოდენობით არჩევითი საგნები, მისი მოსაზრებით, წარმოდგენილი სახით პროგრამა შედეგებზე ვერ გავიდოდა.

ექსპერტმა თეიმურაზ პაპასქირმა არ გაიზიარა ზაზა მარუაშვილის მოსაზრება.

6. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ქართული ფილოლოგია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ქართულ ფილოლოგიაში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	100501
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, რამაზ ქურდაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მთლიანობაში კარგი პროგრამა იყო წარმოდგენილი. ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ერთმანეთის გვერდითაა დასახელებული მეთოდები და სხვა აქტივობანი (იხ. დასკვნის პუნქტი 2.2). სასურველია, სხვა სახის აქტივობანი მეთოდებისაგან გავმიჯნოთ. ეს საკითხი მხოლოდ ამ კონკრეტული პროგრამას არ ეხება, ეს ზოგადი საკითხია და უმეტეს პროგრამებში გვხვდება. ამიტომ კარგი იქნება თუ ზომაღნიშნული აქტივობანი მეთოდებს ერთგვარად გაემიჯნებიან;
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში მოყვანილია ე. წ. ალტერნატიული წინაპირობა (იხ. დასკვნის პუნქტი 2.3). ვფიქრობთ, წინაპირობა უნდა განისაზღვროს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე და არა იმის მიხედვით, თუ რომელი პროგრამის სტუდენტი აირჩევს ამა თუ იმ საგანს, ამიტომ, სასურველია, ერთგვარად დაიხვეწოს წინაპირობების მატრიცაში წარმოდგენილი ე. წ. ალტენატიული წინაპირობა;
- სასურველია, სილაბუსების ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა შეივსოს, გამდიდრდეს სათანადო ლიტერატურითა და უახლესი წყაროებით, რაც ხელს შეუწყობს პროგრამით დასახული მიზნის განხორციელებას და მოსალოდნელი შედეგის მიღწევას.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს კეთილგანწყობისა და თანამშრომლობისთვის.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარომადგენელმა განმარტა, რომ საქმე შეეხებოდა ზოგადსაუნივერსიტეტო მიდგომას, მისი თქმით, გათვალისწინებლი მეთოდებითა და აქტივობებით უზრუნველყოფდნენ სასურველი შედეგების მიღწევას, თუმცა, აპირებდნენ ექსპერტის რეკომენდაციის სამომავლოდ გათვალისწინებას.

წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტს იმაში, რომ წინაპირობა საგნის სპეციფიკურობიდან გამომდინარე უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, მისი თქმით, ამ შემთხვევაში წინაპირობებიდან ერთის დაკმაყოფილებაც საკმარისი იყო საგანზე დასაშვებად.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით ალტერნატიული წინაპირობის დაწესება არ იყო მიზანშეწონილი.

დაწესებულების წარმომადგენლმა დააზუსტა, რომ საქმე ეხებოდა მხოლოდ ერთ სასწავლო კურსს, სადაც წინაპირობები ალტერნატივების სახით იყო მოცემული.

მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა,რომ სილაბუსები მრავლობითი ფორმით იყო მოხსენიებული, თუმცა, სურდა დაზუსტება, რომ ამ შემთხვევაშიც საქმე მხოლოდ ერთი სასწავლო კურსის სილაბუსს ეხებოდა. მისი თქმით, უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავდა ბიბლიოთეკის განახლებაზე, ლექტორები წინასწარ ადგენდნენ შესასყიდი წიგნების ნუსხას, უნივერსიტეტი კი უზრუნველყოფდა მათ შეძენას, ამდენად, წიგნადი ფონდის შევსება უწვეტი პროცესი იყო, გათვალისწინებული სახელმძღვანელოებით კი შესაძლებელი იყო დასახული მიზნების მიღწევა. აღნიშნულის დასადასტურებლად წარმომადგენელმა მოიყვანა სტუდენტების მონაწილეობა და გამარჯვება საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, პროგრამაში უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი საქართველოს ისტორიის და არა „შესავალი საქართველოს ისტორიაში“ სასწავლო კურსი.

7. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ინგლისური ფილოლოგია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	100502
კრედიტების რაოდენობა	240

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, ლაშა ჩახვაძემ რომელმაც აღნიშნა, რომ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა უფრო მეტად ორიენტირებული იყო ენაზე. პროგრამა პრაგმატული იყო დასაქმების ბაზარზე, აქ აქცენტი გადატანილია ინგლისურ ენაზე. წარმოდგენილ მიდგომას ეთანხმებოდა ექსპერტი, ანალოგიური პროგრამები სრულიად ასეთი პრინციპით იყო აგებული და მიმართული იყო კლასიკური ბალანსისკენ ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში. ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს დეტალურად შემოწმდა შუალედური წერის ნომუშები, ასევე, მოეწყო საკითხების განხილავა სტუდენტებთან. ექსპერტის მოსაზრებით, პროგრამა ითალისწინებდა დასაქმების ბაზარის მოთხოვნებს.

ექსპერტის თქმით, უნივერსიტეტს გააჩნდა ენის სასწავლო კარგი ლაბორატორია. ყველაფერი ზემოთაღნიშნული დასახული მიზნების მიღწევის კარგვ შესაძლებლობას იძლეოდა.

ექსპერტის თქმით, მთლიანობაში, წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში ხუთივე სტანდარტი იყო დაკმაყოფილებული, თუმცა, ექსპერტებს ჰქონდათ მოსაზრებები, რა მიმართულებითაც პროგრამა საჭიროებდა ცვლილებებს. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ინგლისური ლიტერატურის ისტორია I მოცემული დიდი მოცულობის მასალის სწავლება გადანაწილდეს რამდენიმე სემესტრზე ან/და გაიზარდოს კრედიტების მოცულობა.
- ინგლისური ლიტერატურის ისტორია I სილაბუსიდან ამოღებულ იქნეს პირველი სემესტრის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციებისთვის შეუსატყვისი C1 დონის ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები და ჩანაცვლდეს ადეკვატური სირთულის ლიტერატურით.
- რეკომენდებულია სტილისტიკის სილაბუსით მიზნების შესაბამისად გაიწეროს შესაბამისი აქტივობები, რომლებიც სტილისტური ანალიზის კომპეტენციებს გამოუმუშავებს სტუდენტს. ეს აისახოს როგორც ყოველკვირეულ გამოკითხვებში, ასევე შუალედურ შეფასებებსა და საბოლოო გამოცდაში.
- რეკომენდებულია, რომ რიტორიკის სილაბუსში ზეპირი კომუნიკაციის უნარების შეფასება და განვითარება ზეპირი კომუნიკაციის აქტივობების შეფასების საფუძველზე მოხდეს და ცენტრალიზებული წერითი შეფასების სისტემა ამ შემთხვევაში შეიცვალოს. ამგვარ შესაძლებლობას თავად უნივერსიტეტის დებულება უშვებს შეფასების სისტემის მიმოხილვისას.

- რეკომენდებულია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ეფექტური მექანიზმების განხორციელება, რაც სხვადასხვა საგნის პედაგოგებს შორის თანაშრომლობის გაზრდას და ამისთვის კონკრეტული ფორმები მიცემას გამოიწვევს. ამ კუთხით, ერთ–ერთი მთავარი როლი შეიძლება
ინგლისური ენის მასწავლებლებს დაეკისროთ. კერძოდ, მათ შეუძლიათ სხვა საგნების მასწავლებლებს სილაბუსებში ინგლისურენოვანი სასწავლო მასალის შეტანისა თუ სხვა საგნების დაძლევისას ენობრივი კომპეტენციების გამოყენების თაობაზე კონსულტაცია გაუწიონ, რაც მუდმივი და ეფექტური თანამშრომლობის შემთხვევაში, სწავლისა და სწავლების დაგეგმილი შედეგების მიღწევას ხელს მნიშვნელოვნად შეუწყობს.
- რეკომენდებულია,უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის უფრო მეტი ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელებისა და შედეგების შეფასების პროცესში. აკადემიურ პერსონალს შესაბამისი ფორმით მიეცეს მეტი შესაძლებლობა და გარანტია, თავად გადაწყვიტოს დასაბუთებული არჩევანისა და დისკუსიის საფუძველზე რა, როგორ და რატომ ასწავლოს დასახული შედეგების მისაღწევად.
- რეკომენდებულია მოხდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ვებგვერდის განახლება და ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრა, რაც საერთო საუნივერსიტეტო ბაზის განახლებას უკავშირდება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებები გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მაკა ჩხეიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს თანამშრომლობისთვის. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ნაგულისხმევი სილაბუსი უკვე სრულ შესაბამისობაში იყო ენობრივ კომპეტენციასთან. აღნიშნულის გათვალისწინების პარალელურად აუცილებელი გახდა თავის მხრივ მანამდე გათვალისწინებული დროის გაზრდაც და ინგლისური ენის პედაგოგების ჩართულობაც. ამდენად, დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით ექსპერტის რეკომენდაცია მთლიანად გათვალისწინებული იყო. წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ მთლიანი მასალა გათვლილი იყო 14 კვირაზე, აქედან გამომდინარე კი სტუდენტს დღეში საშუალოდ 14 გვერდის გაცნობა უხდებოდა. აღნიშნულის მიუხედავად, ექსპერტის რეკომენდაცია გაითვალისწინეს.

წარმომადგენელმა აღნიშნა,რომ ძალიან მობილიზებული იყო ექსპერტი ვიზიტის მიმდინარეობისას, თუმცა, მისი მოსაზრებით, ინფორმაციის ვალიდურ წყაროდ ვერ გამოდგებოდა ამ შემთხვევაში სტუდენტები, რომლებიც გამოიკითხნენ.

მეორე საკითხთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტს აქცენტი ჰქონდა გაკეთებული ტექსტების მოცულობაზე, მისი მოსაზრებით, კრიტერიუმი უნდა ყოფილიყო არა მოცულობითი ტექსტების ანალიზი, არამედ მნიშვნელოვანი იყო თავად ანალიზის ეფექტურობა - არაეფექტურობა. კურსის ავტორი იყო ელენე აბაშიძე, რომელიც წლების განმავლობაში კითხულობდა სტილისტიკას, გაიარა კურსი კემბრიჯში და იცოდა შესაბამისი მეთოდოლოგია. მისი თქმით, თანამედროვე ლინგვისტიკაში ტექსტის არც მინიმალური და არც მაქსიმალური ზღვარი არავის დაუდგენია.

პრაქტიკულ კომპონენტზე წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ სტილისტიკა იყო საგანი, რომელშიც აბსოლუტურად დაბალანსებული იყო პრაქტიკული კომპონენტი.

რიტორიკის სასწავლო კურსში ზეპირი გამოკითხვის ხვედრით წილის გაზრდის შესახებ რეკომებნდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, თეორიული ცოდნის გამოვლენის ყველაზე ეფექტური ფორმა იყიო წერითი გამოცდა, სწორედ ამან განაპირობა 30%-ის ამ მიმართულებით გათვალისწინება. მარტივად

იდენტიფიცირებადი იყო, სტუდენტმა მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება შეძლო თუ ვერა. წარმომადგენელმა სდაილუსტრაციოდ მოიყვანა ჭადრაკის მაგალითი. მისი თქმით, ასეთივე პრინციპით ისწავლებოდა რიტორიკაც.

წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა ასევე კურსის განმახორციელებლის, ნინო ბარნოვის გამოცდილებასა და პროფესიონალიზმზე.

ნანა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ რიტოტიკა უსწავლებია, სახელმძღვანელოც დაუწერია ამ მიმართულებით, თუმცა, არასოდეს გაუთვალისწინებია ზეპირი კომპონენტი, მთლიანობაშ სტუდენტს ეძლეოდა ზეპირ კომპონენტში თავის წარმოჩენის შესაძლებლობა. ხოლო ის, რამდენად შეძლო სტუდენტმა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, წერითი კომპონენტიდანაც შეიძლებოდა წარმოჩენილიყო.

ლიტერატურის მოცულობასთან დაკავშირებით ნანა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში უნივერსიტეტი ორიენტირებული იყო ენობრივი კომპონენტის გაძლიერებაზე და მათ ჰქონდათ ამის უფლება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, სილაბუსებით გათვალისწინებული ყოველკვირეულად ასობით გვერდის ათვისებას სტუდენტი ვერ შეძლებდა და ამდენად, შედეგებზე გასვლას აღნიშნულიდან გამომდინარე ხელიშეეშლებოდა.

მამია ჯანჯალიამ ექსპერტს მიუთითა იმ ფაქტზე, რომ მისი მხრიდან დასაწყისში ყურადღება გამახვილდა პროგრამის დადებით მხარეებზე და სთხოვა დაზუსტება, წარმოდგენილი სახით პროგრამით უზრუნველყოფილი იყო თუ არა შედეგებზე გასვლა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მთლიანობაში, ერთი შეხედვით სტანდარტები დაკმაყოფილებული იყო, თუმცა, არა სათანადო ხარისხით.

ნანა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ არ არსებობდა სტანდარტი, რამდენის წაკითხვა შეეძლო სტუდენტს კვირაში, ამდენად, არ იყო მიზანშეწონილი ამაზე აქცენტის გაკეთება.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიიღეს რეკომენდაცია. არამოდიფიცირებული სილაბუსით, როგორც ზემოთ აღნიშნა, 1350 გვერდი იყო განსაზღვრული სემესტრში, რაც კვირაში 14 გვერდს მოიცავდა.

ზაზა მარუაშვილმა სთხოვა ექსპერტს დაეზუსტებინა აკადემიური პერსონალის ჩართულობასთან დაკავშირებით, ერთი შეხედვით, თითქოს საკმაოდ მძიმე შენიშვნას ეხებოდა საქმე.

ექსპერტის თქმით, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს უნივერსიტეტში ცენტრალიზებული სისტემა იყო, მისი თქმით, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ კურსის ხელმძღვანელებს სურდათ სხვაგვარი მიდგომის გამოყენება, თუმცა, საუნივერსიტეტო რეგულაციები აღნიშნულის საშუალებას არ იძლეოდა.

ირაკლი მაჩაბელი დაინტერესდა პროგრამის განხორციელების რესურსებით და აღნიშნა, რომ მითითებული ლინკების მეშვეობით ვერ შეძლო შესაბამისი ინფორმცაიის მოპოვება.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში მოიცავდა შესაბამის ინფორმაციას, მითითებული ლინკიც მოქმედი იყო და არ საჭიროებდა ავტორიზებულ მომხმარებლად დაფიქსირებას, ყველას ჰქონდა შესაძლებლობა ვებგვერდიდან გაცნობოდა შესაბამის ინფორმაციას.

დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით უნდა გაევლოთ ზღვარი, რას ისახავდნენ მიზნად, სტუდენტს მხოლოდ უნდა წაეკითხა, თუ უნდა ესწავლა. მისი თქმით, მიზანი არ უნდა ყოფილყიო მხოლოდ წაკითხვა, მთლიანობაში სწორედ ეს განაპირობებდა სამომავლოდ სწავლის მიმართ სტუდენტის გაუცხოებას.

ნანა ფრუიძემ, აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელი იყო პროგრამის სპეციფიკა. წარმოდგენილ შემთხვევაში სტუდენტისთვის სხვადასხვა მასალა იყო გათვალისწინებული წასაკითხად და სასწავლად. მან ასევე მოახსენა საბჭოს, რომ როგორც დაწესებულების ლექტორს, ჰქონია ემთხვევა, როდესაც აღუნიშნავს, რომ თავისი საგნისთვის გამოცდის სხვა ფორმა და შეფასების სხვაგვარად ორგანიზება ჭირდება, რიტორიკის შემთხვევაში, მისი მოსაზრებით, ავად კურსის განმახორციელებლის მიდგომა იყო გათვალისწინებული სილაბუსში. წინააღმჯდეგ შემთხვევაში, იგი შეეცდებოდა მის შეცვლას.

მაია ჩიხლაძემ ექსპერტს სთხოვა დაზუსტება მე-7 რეკომენდაციასთან, კერძოდ, ვებგვერდის განახლებასთან და ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინფორმაცია რიგი გრაფების შემთხვევაში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ბევგვერდზე ხელმიუწვდომელი იყო.

ზაზა მარუაშვილმა მიუთითა ექსპერტს ხისტ მიმდგომებზე, მისი მოსაზრებით ექსპერტს რეკომენდაციები საკმაოდ მძიმე შენიშვნების ფორმით ჰქონდა ჩამოყალიბებული. იგი ასევე დაინტერესდა, რატომ არ ჰქონდა პროგრამას სპეციალობის მოდული, კონცენტრაცია.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამით უზრუნველყოფილი იყო არჩევითი კურსების შეთავაზება.

ექსპერტის თქმით, ილტერატურის მოცულობაზე ყურადღების გამახვილება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ თავად სტუდენტებმა აღნიშნეს, გაცილებით მეტი დრო ჭირდებოდათ, ვიდრე ეს სილაბუსებით იყო გათვალისწინებული.

მანანა სანაძემ აღნიშნა, რომ უცნაური იყო ექსპერტის მხრიდან ასეთი შინაარსის რეკომენდაციის შემუშავება, ექსპერტს რომ მოენდომებინა, გაეცნობოდა უნივერსიტეტის წესდებას, რომლის მიხედვითაც ლექტორს შესაძლებლობა ჰქოდნა აერჩია მისთვის მისაღები გამოცდის ფორმა.

ექსპერტმა დააზუსტა, რომ ამ შესაძლებლობის შესახებ დასკვნაში ასახული იყო, თუმცა, პერსონალის ნაწილმა თქვა რომ ისურვებდნენ შეფასების ფორმები ყოფილიყო არა წერით არამედ მაგალითად ზეპირი გამოკითხვის სახით. დასკვნის დაწერისას სწორედ აღნიშნულით იხელმძღვანელა.

8. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ისტორია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	1004
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, თეიმურაზ პაპასქირმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მთლიანობაში სხვებისაგან განხვავებული ვარიაციის პროგრამა იყო წარმოდგენილი. ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ რიგი შესწორებები პროგრამაში ვიზიტის მიმდინარეობისას იქნა შეტანილი. ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ საუნივერსიტეტო შეფასების წესში შევიდეს გარკვეული ცვლილება და ზოგიერთ საგნებში (მაგ. რიტორიკა) შუალედური და საბოლოო გამოცდის წერით კომპონენტს დაემატოს ზეპირი კომპონენტიც. ვფიქრობთ, რიტორიკაში სტუდენტის საბოლოო შეფასებაში ზეპირ კომპონენტს პროცენტულად ნახევარზე მეტი ქულა უნდა ჰქონდეს და არა ნახევარზე ნაკლები, როგორც ახლა არის.
- სასურველია, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შეფასების წესი გაიმიჯნოს და არ იყოს ერთნაირ კომპონენტებზე დაფუძნებული, მით უმეტეს, რომ წინასწარი განაცხადის კრიტერიუმების დონეზე ასეთი გამიჯვნა ისედაც გაკეთებულია.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არქოლოგიის პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნულ საკითხზე უკვე ჰქონდათ საუბარი, მოსაზრებები გათვალისწინებული ჰქონდათ.

9. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერებები
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	07
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტთა ჯგუფის ოპზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტ, რამაზ ქურდაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
- მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში ინგლისური ენის სწავლებას დიდი დრო ეთმობა და შესაბამისად, ინგლისურენოვანი ლიტერატურის დამლევაც სტუდენტებს შეუძლიათ, სასურველია საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში არსებული ძირითად ლიტერატურას დაემატოს 2011 წელს ქართულ ენაზე გამოცემული „საერთაშორისო პოლიტიკა - მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები“ რობერტ არტი , რობერტ ჯერვისი.
- ასევე, „პოლიტიკური იდეოლოგიების“ კურსში გამოყენებებულ ინგლისურენოვან ლიტერატურასთან ერთად სასურველია ქართულ ენაზე არსებული ლიტერატურის გამოყენებაც (თუნდაც, დამხმარე ლიტერატურის სახით): ენდრიუ ჰეივუდი „პოლიტიკური იდეოლოგიები“.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომდგენელს მოსაზრებების გათქმის შესაძლებლობა. წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს რეკომენდაციებისთვის, მისი თქმით, უკვე დაიწყეს შესაბამისი ლიტერატურის მოძიება.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ მოეწონა პროგრამა მთლიანობაში, მისი თქმით, ყველა წესი დაკმაყოფილებული იყო.

10. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ხელოვნებათმცოდნეობა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ხელოვნებათმცოდნეობაში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	1007
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ნანა იაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საქმე ეხებოდა პროგრამას, რომლის განხილვაც წინა სხდომაზე დაიწყო და საბჭომ გადადო. ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველია, ლოგიკურად განისაზღვროს თანაფარდობა საგნების მოცულობასთან დაკავშირებით, კერძოდ, გათვალისწინებული იქნას სასწავლო კურსების თეორიული და პრაქტიკული შინაარსი. მაგალითად, თანაფარდობა საკონტაქტო საათებს შორის 3 და 6 კრედიტიან საგნებს ერთნაირი აქვთ და ორივე შემთხვევაში არის კვირაში ერთი ლექცია 2 საათი. მაგალითად, საგნები: შორეული აღმოსავლეთის ხელოვნება - ჩინეთი,იაპონია; ქართული ლითონმქანდაკებლობა ან/და ანტიკური კულტურის საფუძვლები - 3/3 კრედიტიანია - სულ 75 სთ (ლექციაზე დასწრება 28 სთ; დამოუკიდებელი მეცადინეობა 20 სთ; გამოცდების მომზადება-ჩაბარება 17 სთ. ნაშრომების მომზადება-ჩაბარება 10 სთ.) ხოლო საგნები: თანამედროვე ქართული ხელოვნება; დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება-სტილი და ეპოქა ან/და საქართველოს სამუზეუმო კოლექციები - 6/6 კრედიტიანია - სულ 150 სთ (ლექციაზე დასწრება 28 სთ; დამოუკიდებელი მეცადინეობა 95სთ; გამოცდების მომზადება-ჩაბარება 17 სთ. ნაშრომების მომზადება-ჩაბარება 10 სთ.). არგუმენტირებული არ არის რის მიხედვით ხდება არასაკონტაქტო საათების სამჯერ გაზრდა... (საგნის ღირებულებითი კატეგორია, დავალება ან სილაბუსებში მოცემული ლიტერატურა ამას ვერ საზღვრავს).
- სასურველია მოხდეს არჩევითი სასწავლო კურსების ნათლად ფორმულირება. კერძოდ, პროგრამა ითვალისწინებს საუნივერსიტეტო, სკოლისა და პროგრამის ძირითადი კომპონენტების გარდა 6 თავისუფალ კრედიტს. პროგრამას არ ახლავს იმ არჩევითი საგნების სია, საიდანაც სტუდენტს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს თავისუფალი კრედიტების შესაბამისი საგნები. სავალდებულო წესით პროგრამის მიხედვით გათვალისწინებულია არჩევითი 12 კრედიტი, სადაც საგნების ნუსხა მხოლოდ უცხო ენის არჩევას სთავაზობს სტუდენტს, ამდენად, 240 კრედიტიან პროგრამაში 6 თავისუფალი კრედიტი ცოტაა, ხოლო პროგრამის მიზანის განსახორციელებლად კარგი იქნებოდა ისეთი საგნების შეთავაზება როგორიც არის მაგ. ზოგადი და შემოქმედების ფსიქოლოგია, ფერმცოდნეობა, კულტუროლოგია ... გასათვალისწინებელია აგრეთვე დამსაქმებლის მოთხოვნა მაგალითად პრაქტიკული კომპონენტის შემცველი სპეციალური საგნის, დაცვა-აღრიცხვის დოკუმენტაცია. პროგრამა ითვალისწინებს კონცენტრაციას კულტურის მენეჯმენტში ან დამატებით სპეციალობას.

- სასურველია, საგნის მოცულობის გათვალისიწნებით მოხდეს აღნიშნული სასწავლო კურსის 2 სემესტრად სწავლება. საგანი - მსოფლიო ხელოვნების ისტორია ზოგადი კურსი მოიცავს 6 კრედიტს, კვირაში 2 საათი ერთი სემესტრის განმავლობაში (28 საკონტაქტო საათი). სასწავლო კურსის ფარგლებში განხილულია ძველი აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნების სახვითი ხელოვნების განვითარების ძირითადი ეტაპები პრეისტორიული ეპოქიდან მეოცე საუკუნემდე; სილაბუსის გაცნობის შემდეგ დაფიქსირდა ზოგადი კურსის მეტად მოცულობითი მასალის აკუმულირება ერთ სემესტრში. სადაც სტუდენტი მოახერხებს მხოლოდ ზედაპირულად მიმოიხილოს ინფორმაცია და რასაკვირველია ეს ვერ იქნება სწავლის შედეგებში დაფიქსირებული მონაცემთა ან კრიტიკულ ანალიზზე გასვლის საფუძველი.
- კულტურის მენეჯმენტის კონცენტრაციაში არის ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა ქართული ხუროთმოძღვრება, ლითონმქანდაკებლობა. ეს კურსები მიზანშეწონილია იყოს ძირითადი სპეციალობის საგნებში.
- სასურველია, ხატვის თუნდაც პირველი ორი მეცადინეობა დაეთმოს გეომეტრიული ფიგურების დახატვას. აღსანიშნავია საგანი - ხატვა, რომელიც ისწავლება ერთი სემესტრის განმავლობაში, კვირაში 2 სთ. 28 საკონტაქტო საათი. სასურველია დავალებები გაიწეროს მარტივიდან რთულისკენ და აკადემიური ხატვის თუნდაც პირველი ორი მეცადინეობა დაეთმოს გეომეტრიული ფიგურების დახატვას (არსებულ სილაბუსში ხატვა იწყება ნატურიდან საგნის ჩახატვით), რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს შეიძინოს შესაბამისი უნარები (გაერკვეს სამგანზომილებიანი სივრცითი სხეულის სიბრტყეზე დაგეგმარების პრინციპებში, ჭრილი, ხედები და სხვა).
- სასურველია დაზუსტდეს საგნის მისაღწევი შედეგები. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიზნობრივი გამოყენების უნარი - ამ უნარზე საგანი ხატვა ვერ გადის და არც უნდა გადიოდეს, ვინაიდან ტექნოლოგია, რომელიც გამოყენებულია ამ დისციპლინის შესწავლისას არის ტრადიციული ფანქრის და ტუშის ინსტრუმენტით ქაღალდზე ინფორმაციის გადატანის უნარი.
- საოფისე კომპიუტერული პროგრამები და ინტერნეტი - საგანი ისწავლება ერთი სემესტრი და მოიცავს 3 კრედიტს 28 საკონტაქტო საათით. საურველია სილაბუსში დაემატოს სპეციალური საპრეზენტაციო პროგრამა - Microsoft PowerPoint. რომელშიც ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრი გავა რეფერატების პრეზენტაციის უნარზე, მითუმეტეს, რომ საგანი - აკადემიური წერა, მეთხუთმეტე ლექციაზე ითვალისწინებს დავალების Microsoft PowerPoint-ში აწყობას.
- სტუდენტი ხელოვნების ნიმუშების ანალიზს არ შეისწავლიან; კურიკულუმში გათვალისწინებული არაა საგანი - ხელოვნების ნაწარმოების მხატვრულ–სტილისტური ანალიზი არც დამოუკიდებელ სასწავლო კურსად, არც თეორიული სასწავლო კურსების ფარგლებში. მაგალითად "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"- მიზანი: *გამოუმუშაოს სტუდენტებს სხვადასხვა კულტურული სისტემის მხატვრულ ქმნილებათა მსგავსება-განსხვავების სწორი ხედვისა და მხატვრული შეფასების ჩვევა.*
- სასურველია მეტი დრო დაეთმოს სტუდენტის მიერ რეფერატის პრეზენტაციის მომზადებას ახალი ციფრული ტექნოლოგიებით (ფოტოგრაფირება, Microsoft PowerPoint).
- ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში ჩართულ ყოველ სასწავლო კომპონენტს, გარდა საბაკალავრო ნაშრომისა (რომლისთვისაც არსებობს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ზოგადი ინსტრუქცია), გააჩნია შესაბამისი სილაბუსი, რომელშიც ნათლად არის გაწერილი კურსზე დაშვების წინაპირობა, კურსის მიზნები, შედეგები, ამ შედეგების მიღწევის მეთოდები, შეფასების სისტემა,

სასწავლო მასალის შინაარსი და თემატიკა. თუმცა, ზოგიერთ სილაბუსში - ახლო აღმოსავლეთის ისტორიის და ცივილიზაციის პრერეკვიზიტში მითითებული საგანი "შესავალი მსოფლიოს ისტორიაში" არ ისწავლება. კურიკულუმი ითვალისწინებს საგნებს: შესავალის მსოფლიო ისტორიაში I და შესავალი მსოფლიო ისტორიაში II.

- სასურველია გასწორდეს წინაპირობების უზურსტობა ბერძნულ ენასთან დაკავშირებით;
- საკანონმდებლო ბაზის შესწავლისას უნდა ისწავლებოდეს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- აკადემიური წერის სწავლებისას უნდა ისწავლწებოდეს უნივერსიტეტის აკადემიური წერის სტანდარტი.
- სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის გამრავალფეროვნებაზე. მხოლოდ ერთი პროფესორისა და ერთი ასოცირებული პროფესორის ხარჯზე პროგრამის ეფექტური განხორციელება ვერ იქნება უზრუნველყოფილი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა მოსაზრებები ექსპერტის რეკომენდაციების თაობაზე:

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგნებისთვის კრედიტების მინიჭების საკითხს უნივერსიტეტის დებულების საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის მომზადების წესის შესაბამისად წყვეტდა პროგრამის ხელმძღვანელი, დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, სკოლის დირექტორთან და პროგრამის განმახორციელებელ პროფესურასთან შეთანხმებით. სწორედ ამ ჯგუფის გადაწყვეტილებით განისაზღვრებოდა მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა კონკრეტულ საგანზე ერთის მხრივ, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და მეორეს მხრივ, მისი მეტი მოქნილობის უზრუნველსაყოფად, რაც სტუდენტისთვის მეტი საგნის შეთაწვაზების შესაძლებლობას გულისხმობდა. გათვალისწინებული იქნა, რომ რომ სტუდენტისთვის სილაბუსებით შეთავაზებულ თემატიკასა და მასალაში ორიენტაციუისთვის და პედაგოგის ნმიერ საკვანძო საკითხების მაქსიმალურად წარმოსაჩენად აუცილებელი იყო კვირაში ორი საკონტაქტო საათი (უნივერსიტეტში ამაში იგულისხმებოდა ორი ასტრონომიული საათი), რაც არ იყო პირდაპირ კავშირში საგნის კრედიტების რაოდენობასთან და, შესაბამისად, ერთნაირი იყო როგორც 6 ისე 3 კრედიტის შემთხვევაში. გამოცდების მომზადებისა და ჩაბარებისთვის განკლუთნილი დრო ლოგიკური პრინციპით იყო განსაზღვრული და შეადგენდა 17 საათს. აღნიშნმულის გათვლას ადასტურებდა ისიც, რომ უნივერსიტეტის შეფასების სისტემის შესაბამისად სტუდენტის მიერ კვირის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ყოველკვირეული გამოკითხვა/შეფასება ხდებოდა, რაც პრაქტიკულად ამზადებდა შესაბამისი გამოცდის ჩასაბარებლად მას; რეფერატის მომზადება/ჩაბარებისთვის განკუთვნილი დრო - 10 საათი განისაზღვრებოდა მიღებული პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, ხოლო დარჩენილი დრო მთლიანად ეთმობოდა დამოუკიდებელ მუშაობას და ბუნებრივია, კრედიტების რაოდენობიოდან გამომდინარე, განსხვავებული იყო 3 და 6 კრედიტიან საგნებს შორის. გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ დამოუკიდებელი ან საკონტაქტო საათების რაოდენობის განსაზღვრა აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად უნივერსიტეტის და პროგრამის პრეროგატივა იყო და არაფერი ავალდებულებდა უნივერსიტეტს კონკრეტული საათობრივი დატვირთვის არგუმენტაციას, თუ დარღვეული არ იყო აკრედიტაციის სტანდარტი.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხელოვნებათმცოდნეობიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი არჩევით და თავისუფალი კრედიტების ფარგლებში ითვალისწინებდა სტუდენტის მიერ 18 კრედიტის დაგროვებას, რაც გულისმობს რაც გულისხმობდა 12 კრედიტის მოპოვებას მეორე უცხო ენაში, რომელთა ჩამონათვალი დართული ჰქონდა პროგრამას, რათა სტუდენტს სცოდნოდა რომელ ენებს შორის უწევდა არჩევანის გაკეთებ, განესაზღვრა მისთვის სასურველი ენა და 6 თავისუფალი კრედიტი (ორი 3 კრედიტიანი ან ერთი 6 კრედიტიანი საგანი), რომელთა ნუსხა პროგრამაზე არ იყო დართული იმდენად, რამდენადაც სტუდენტს შეეძლო კურსების ნებისმიერი მიმართულებით აღება. სტუდენტი რეგისტრაციას გადიოდა ელექტრონულად და შესაძლებლლობა ჰქონდა დაენახა ყველა საგანი, რომელიც მიმდინარე სემესტრში იკითხებოდა უნივერსიტეტში. ამდენად, უნივერსიტეტი აღნიშნულს უზრუნველყოფდა ისეთი სახით, რომ აღარ იყო აუცილებელი პროგრამაში ყველა პოტენციური ასარჩევი საგნის ჩამონათვალის გათვალისწინება. კულტუროლოგიის კურსის შეთავაზება არ ითვალისწინებდა პროგრამა, თუმცა, ამ თვალსაზრისით მას გარკვეულად ფარავდა კულტურული ანთროპოლოგიის საფუძვლები, რომელიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის აუცილებელი საგანი იყო და კულტურის დეფინიციებს, კულტურის კვლევის თაბვისებურებებს და კულტურისადმი მიდგომებსაც მოიაზრებდა.ფერმცოდნეობასტან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის განმახორციელებლების აზრით ნამდვილად მნიშვნელოვანი საგანი იყო ფერწერის სპეციალობისთვის, მაგრამ ნაკლებად რელევანტური, აუცილებელი შეთავაზების თვალსაზრისით, წარმოდგენილი პროგრამის შემთხვევაში. რეკომენდაციაში მითითებული დამსაქმებლის მოთხოვნის გათვალისწინებასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გადაგზავნილ კითხვარებში თანდართული სასწავლო გეგმით და სწავლის შედეგებით, რომლებიც ბაკალავრის კონკურენტულობის გაზრდას ემსახურებოდა, სადაც ითხოვდნენ შესაბამისი რჩევების მიცემას, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, თუმცა, ასეთი რჩევები არ დაფიქსირებულა. მიუხედავად ამისა, აუცილებლად გაარკვედნენ, რომელმა ორგანიზაციამ გამოთქვა ასეთი სურვილი ექსპერტებთან გასაუბრებისას, რათა დაეწყოთ მათთან კონსულტაციები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ამათთან, მათ სურვილი იყო გაერკვიათ, რა იგულისხმებოდა პრაქტიკული კომპონენტის შემცველ სპეციალურ საგანში დაცვა-აღრიცხვის დოკუმენტაცია.

მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნმა, რომ სასწავლო კურსის სახელწოდებაში დაფიქსირებული იყო რომ ეს იყო მსოფლიო ხელოვნების ისტორიის ზოგადი კურსი, რომელიც გულისხობდა ხელოვნების აჩმოცენება/განვითარების ძირითადი ეტაპებისა და უმნიშვნელოვანესი ტენდენციების ზოგად მიმოხილვას, რომელიც ღრმავდებოდა შემდგომი სპეციალური კურსების: აღორძინების ეპოქის ხელოვნება, შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება, ისლამური ხელოვნება, ქართული ხელოვნების ისტორია, თანამედროვე ქართული ხელოვნება, შორეული აღმოსვალეთს ხელოვნება-ჩინეთი, იაპონია, თანამედროვე დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ხელოვნებისა და სხვა სასწავლო კურსებით, რომლებიც, საბაკალვრო დონის შესაბამისად, ახდენდნენ სტუდენტის მეტ გაცნობიერებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქის ხელოვნების თავისებურებებში. ასევე, აღსანიშნავი იყო ის გარემოებაც, რომ ტრადიციულად ასეთი ტიპის შესავალი/ზოგადი კურსი შესაბამისი სპეციალობის მქონე ყველა ქართულ უნივერსიტეტში ძირითადად, ერთ სემესტრში ისწვალებდა. რაც შეეხება სწავლის შედეგებში მონაცემთა ან კრიტიკული ანალიზის უნარებზე გასვლას, დაეთანხმა ექსპერტს, რომ მსოფლიოს ხელოვნების ისტორიის

ზოგადი კურსი ვერ იქნებოდა ამ შედეგებზე გასვლის საფუძველი, შესაბამისად, აღნიშნული კურსის სილაბუსში ასეთი რამ მითითებული არც იყო.

მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგნები ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები და ქართული ლითონმქანდაკებლობა პროგრამის ხელმძღვანელისა და საგნის კურატორების ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე გადატანილი იყო კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტში საგანთა კონცენტრაციის ფარგლებში, რაც სტუდენტს შესაძლებლობას აძლევდა დამატებითი სპეციალობის არჩევის სურვილის შემთხვევაში უპრობლემოდ აეღო დამატებითი სპეციალობისთვის აუცილებელი 60 კრედიტი, თუმცა, ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამის ყველა სტუდენტთს ჰქონდა შესაძლებლობა ეს საგნები/საგანი აერჩია თავისუფალი კრედიტის ფარგლებში. აღსანიშნავი იყო ისიც, რომ ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი კურსის (მეორე, მესამე, მეოთხე) არცერთ სტუდენტს სხვა დამატებითი სპეციალობა არჩეული არ ჰქოდა და შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტში საგანთა კონცენტრაციის ფარგლებში ყველა მათგანს ჰქონდა გავლილი აღნიშნული სასწავლო კურსი.

მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნისნა, რომ ხატვის კურსის შესავალი, ბუნებრივია, გულისხმობდა სავარჯიშოებს კომპოზიციისთვის (პირველი კვირა სილაბუსის მიხედვითახ მთლიანად კომოპზიციის აგებას ეთმობოდა), ტონალურ გრადაციას, გეომეტრიულ ფორმებზე მუშაობას, მათი ზედაპირის თვისებების დამუშავებას, ანალოგიების ძებნას სხვა ფორმებთან, მაგ. სფეროს დამუშავების ელემენტების გამოყენება დოქის, ქოთნის დამუშავების დროს. ამიტომ გეომეტრიულ ფორმებზე მუშაობა პარალელურ რეჟიმში მუდმივად მიმდინარეობდა, რაც წარმოადგენდა ხატვის ყველა ფორმის და აკადემიური სკოლისთვის საბაზისო საფუძველს, ოღონდ რამდენადაც ეს მუშაობის პრიცესი იყო, რომლის აღწერასაც სილაბუსის სტანდარტი არ მოთხოვდა, ხატვის სილაბუსში მითითებული იყო კონკრეტული კვირის სამუშაო თემატიკა მუშაობის პროცესის აღწერის გარეშე.

მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული უკვე გათვალისწინებული იყო, საბჭოს შეეძლო ეხილა დაწესებულების აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმის ასლი და ხატვის კორექტირებული სილაბუსი.

მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სპეციალური საპრეზენტაციო პროგრამა - Microsoft PowerPoint – 2011 წლის ჩათვლით წარმოადგენდა საოფისე კომპიუტერული პროგრამების სასწავლო კურსის ტრადიციულ შემადგენელ ნაწილს. თუმცა, კურსის განმახორციელებელმა სკოლამ (ინფორმატიკა/ინჟინერია, მათემატიკა) გაითვალისწინა ეროვნული სასწავლო გეგმის (2011-2016 წლები) შემადგენელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში საგნის მიზნები და ამოცანები, კერძოდ, ის, რომ სკოლის დამთვარების შემდეგ მოსწავლეს უნდა ჰქონოდა საბაზისო ცოდნა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესახებ, ასევე, მათი მოხმარების პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც საკმარისი იქნებოდა როგორც მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის, ასევე, შემდეგ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად. ეროვნული სასწავლო გეგმის თანამხად, სკოლას უნდა უზრუნველეყო შესაბამისი კომპეტენციის გამომუშავება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფაგლებში, ამდენად, უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარედგინა წინადადება საოფისე კომპიუტერული პროგრამების კურსის სახეცვლილების საჭიროებასთან დაკავშირებით და საკითხებზე მსჯელობის შედეგად დადგინდა შემდეგი:

ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღები შედეგების გათვალისწინებით მომზადდა საოფისე კომპიუტერული პროგრამების განახლებული კურსი, რომელიც ცალკეული სკოლების სპეციფიკისა და მოთხოვენბსი შესაბამისად ისწავლება სავალდებულო ან არჩევითი კურსის ფირმატში აღნიშნულმა კურსმა მოიცვა Microsoft-ის საოფისე პროგრამები, ხოლო Microsoft PowerPoint 2010, როგორც საპრეზენტაციო ნაშრომის ტექსტური და საპრეზენტაციო ნაწილის მომზადების ტექნიკა გადატანილი იქნა აკადემიური წერის სასწავლო კურსის მე-14 კვირაში, ისწავლება კომპიუტერულ კლასებში კურსის წამყვან პედაგოგთან და ინფორმატიკის მიმართულების აკადემიურ პერსონალთან ერთად და უნივერსიტეტის ინფორმატიკის სპეციალისტთა აზრით, სავსებით საკმარისი იყო Microsoft PowerPoint-ის გამოყენებით პრეზენტაციის მომზადების უნარის შესაძენად.

მერვე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იყო არა დამოუკიდებელი სასწავლო კურსის სახით ხელოვნების ნაწარმოების მხატვრულ-სტილისტური ანალიზის სწავლება, არამედ პროგრამის ხელმძღვანელისა და ხელოვნებათმცოდნეობითი საგნების კურორტების გადაწყვეტილებით ანალიზის სწავლება გადანაწილებული იყო სპეციალობის ყველა თეორიულ კურსში, რომელიც მოიაზრებდა სახვითი ხელოვნების ნიმუშებზე მსჯელობისას მის მხატვრულ ღრეგულებებზე ყურადღების გამახვილებას სტილუსტური ანალიზისთვის სათანადო ტერმინოლოგიის მოხმობით, რომელიც ასახულია სალექციო მასალაშიც, გარდა ამისა სტუდენტის მიერ შემენილი საბაკალავრო საფეხურის შესაბამისი ანალიზის უნარის გადამოწმება ხდებოდა შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე საგამოცდო მასალაში წარმოდგენილი მხატვრული ანალიზისთვის განკუთვნილი სახვითი ხელოვნების ნიმუშების ჩართვით. შესაბამისად, აღნიშნული იძლეოდა საფუძველს დასახელებული სალექციო კურსების სწავლის შედეგებში დაფიქსირებულიყო სახვითი ხელოვნების ნიმუშების მსგავსება-განსხვავების სწორი ხედვისა და მხატვრული შეფასების უნარი.

მეცხრე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ მათთვის ბუნდოვანი იყო იგი, კონკრეტულად რომელი სასწავლო კურსი ჰქონდა ექსპერტს მხედველობაში, ამდენად, საჭიროებდნენ ექსპერტთან კონუოლტაციის გავლას და დაზუსტებას, მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოუყალიბდებოდათ საბოლოო ხედვა საკითხთან დაკავშირებით.

მეათე რეკომენდაციის თაობაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესავალი მსოფლიოს ისტორიაში, რომლიც მითითებული იყო ალტერნატიულ წინაპიროიბად სალექციო კურსებში: ანტიკური კულტურის საფუძვლები და ახლო აღმოსავლეთის ისტორია, ცივილიზაცია მიმდინარე სასწავლო წლამდე ასეთი სახელწოდებით იკითხებოდა საუნივერსიტეტო საგნების ფორმატში. ამდენად, წარმოდგენილი კურსი გაყოფილი იყო ორ ნაწილად - შესავალი მსოფლიოს ისტორიაში 1 და შესავალი მსოფლიოს ისტორიაში - 2, ისწავლებოდა ორივე სემესტრის განმავლობაში. იმის გათვალისწინებით, რომ საბაკალავრო პროგრამაზე იყვნენ სტუდენტები, რომელთაც აღნიშნული კურსი გავლილი ჰქონდათ სახელწოდებით შესავალი მსოფლიოს ისტორიაში, დასახელებულ საგნებში იგი მითითებული იყო როგორც ალტერნატიული წინაპირობა (უნივერსიტეტში მიღებული წესის შესაბამისად საგანს შეიძლებოდა ჰქონოდა წინაპირობა ან ალტერნატიული წინაპირობები, რაც გულისმობდა სტუდენტის დაშვებას საგანზეამ წინაპირობებიდან ერთერთის გათვალისწინების შემთხვევაში) და არა წინაპირობა, ანუ მითითებული იყო, რომ სტუდენტს მოცემულ საგანზე რეგისტრაციის გავლა შეეძლო როგორც ერთი, ასევე მეორე სასწავლო კურსის გავლის შემთხვევაში.

მეთერთმეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ძველი ბერძნული ანა 2-ის წინაპირობად სილაბუსში, მონაცემთა ბაზაში და წინაპირობების მატრიცაშიც მითითებული იყო ძველი ბერძნული ენა 1.

მეთორმეტე რეკომენდაციის თაობაზე წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოხდა ტექნიკური შეცდომა და ექსპერტს მიეწოდა არა ის სილაბუსი, რმლითაც იკითხებოდა აღნიშნული კურსი, არამედ მონაცემთა ბაზიდან არასწორად ამობეჭდილი სილაბუსის არასრულყოფილი ვერსია, ამდენად, ექსპერტის რეკომენდაცია სავსებით ლოგიკური და მართებული იყო. ამასთან, აღსანიშნავი იყო ისიც, რომ დასახელებული სალექციო კურსი რეალურად იკითხებოდა ყველა იმ ნორმატიული აქტის გათვალისწინებით, რომელიც არეგულირებდა კულტურული მემკვიდრეობის სფეროს და მითითებული იყო რეკომენდაციაშიც.

მეცამეტე რეკომენდაციასთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მოახსენა, რომ აკადემიური წერის სასწავლო კურსი ითვალისწინებდა უნივერსიტეტის აკადემიური წერის სტანდარტის სწავლებას, კერძოდ მე-11 კვირის თემატიკაში მოცემული იყო საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს საგანგებო მონაკვეთი თემის შესახებ. აღნიშნულის გაცნობის საშუალება ექსპერტს ჰქონდა, სახელმძღვანელო კი თავისუფლად ხელმისაწვდომი იყო ბიბლიოთეკაში.

მეთოთხმეტე რეკომენდაციასთან მიმართებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამჟამად ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამის (55 სტუდენტი) განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს უშუალოდ ხელოვნებთმცოდნეობის მიმართულებით წარმოადგენდა ერთი პროფესორი და ერთი ასოცირებული პროფესორი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ხარისხით, რაც უმაღლესი საგანმანათელბლო დაქწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის მე-11 მუხლის შესაბამისად სავსებით უზრუნველყოფდა პროგრამის ეფექტურ განხორციელებას, ხოლო მეორე ასოცირებულ პროფესორს ხელოვნებათმცოდნეობის პროფილით (ასოცირებული პროფესორი მარიამ გველესიანი) მიუხედავად იმისა, რომ იგი განათლებით ხელოვნებათმცოდნე იყო, შესაბამისი პროფესიული და პრაქტიკული გამოცდილება ჰქონდა, ასევე, სამეცნიერო- პუბლიკაციებიც სწორედ ამ სფეროში გააჩნდა, დისერტაცია დაცული ჰქოდნა ისტორია/კულტუროლოგიისთვის სპეციფიურ პრობლემებზე და, შესაბამისად, მინიჭებული ჰქონდა ისტორიის დოქტორის ხარისხი, ასევე, 35 წლის მანძილზე იყო ხელოვნების მუზეუმის უფროსი მეცნიერ/თანამშრომელი. მისი მოსაზრებით, ექსპერტს წარმოდგენილი ასოცირებული პროფესორის კომპეტენციაში ეჭვი არ ეპარებოდა, აპრილში აპირებდნენ კონკურსის გამოცხადებას კიდევ ერთი ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულებით. ყველა სხვა სასწავლო კომპონენტს, გარდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული ფსიქოლოგიის, ისტორიის, არქეოლოგიის და ა.შ. დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალისა, ახორციელებდნენ შესაბამისი დარგის მოწვეული სპეციალისტები სფეროსათვის რელევანტური აკადემიური ხარისხით და დადასტურებული კომპეტენციით.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ არჩევითი საგნებისათვის 12 კრედიტის მოცულობით შეთავაზება არ იყო საკმარისი. იგი ასევე დაინტერესდა კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენეტი იყო თუ არა წარმოდგენილი სავალდებულო კურსის სტატუსით პროგრამაში.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის სწავლება უზრუნვე,ყოფილი იყო, რადგან მის სწავლებას ითვალისწინებდა კონცენტრაცია, ხოლო თუ სტუდენტი არ აირჩევდა კონცენტრაციას, მას შესაძლებლობა ექნებოდა გაევლო იგი თავისი სურვილით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ისტორიის დეპარტამენტის უფროსმა, რომელიც წარმოდგენილი იყო სხდომაზე, დასვა კითხვა, რამდენად იყო მიზანშეწონილი ექსპერტს სტუდენტებისათვის დაესვა კითხვები ცოდნის დონის გასაზომად.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ კითხვები სტუდენტების ცოდნის შესაფასებლად არ დასმულა ვიზიტის მიმდინარეობის დროს.

მამია ჯანჯალია გამოეხმაურა წარმომადგენლის არგუმენტს ექსპერტის მერვე რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ შესაძლოა პროგრამაზე ჩარიცხულიყო სტუდენტი, რომელსაც სკოლა 2011 წლამდე ჰქონდა დამთავრებული და შესაბამისად, აღნიშნულ კომპიუტერულ პროგრამებს არ ფლობდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა სანაძემ დააზუსტა, რომ მათი განმარტებით, შესაბამისი საკითხები პროგრამაში ისწავლებოდა, მათ არ უთქვამთ რომ ამოიღეს პროგრამიდან ეს თემები, არამედ გადაიტანეს აკადემიური წერის სასწავლო კურსში. მისი თქმით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფდა თითოეული სტუდენტისთვის კომპიუტერს და რაიმე სირთულეს ადგილი არ ჰქონდა, პრაქტიკაც აჩვენებდა რომ ეს აპრობირებული მეთოდი იყო და სტუდენრები მარტივად ახერხებდნენ პრეზენტაციის წარმოდგენას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში მიზანშეწონილი იყო შესაბამის სასწავლო კურსებში სათანადო პრერეკვიზიტის მითითება.

დაწესებულების კანცლერმა, კოკა თოფურიამ აღნიშნა, რომ ერთასდერთი, რითაც შეიძლებოდა დადასტურება იმის, რამდენად შესაძლებელი იყო ასეთ პირობებში პროგრამის ათვისება გახლდათ სტატისტიკა, რომელიც აჩვენებდა, რომ სტუდენტები ამას მარტივად ახერხებდნენ.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამების სააკრედიტაციო განაცხადით ცენტრში წარმოდგენის შემდეგ ცენტრიდან მიიღეს წერილი, სილაბუსების წარმოდგენის თაობაზე. ამ ეტაპზე დაწესებულებამ აღმოაჩინა, რომ გაიპარა ტექნიკური უზუსტობა, რომელიც შემდეგ გაასწორეს. წარმომადგენლის განცხადებით, ექსპერტმა იხელმძღვანელა წინასწარ შედგენილი ვერსიით, ვიზიტის მიმდინარეობისას კი შესაბამისი ოქმი ცვლილების თაობაზე არ ნახა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მან იხელმძღვანელა იმ ვერსიით, რომელიც ცენტრმა მიაწოდა.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ მოსმენილი რეკომენდაციებიდან სადავო იყო რამდენიმე რამდენად სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდა, მიმართა ექსპერტს მთლიანობაში პროგრამით უზრუნველყოფილი იყო თუ არა შედეგებზე გასვლა.

ექსპერტის თქმით, რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში პროგრამა გავიდოდა სწავლის შედეგებზე.

11. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ჟურნალისტიკა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ჟურნალისტიკაში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0703
კრედიტების რაოდენობა	240

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ნინო ჯაფიაშვილმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული მოსაზრებები პროგრამის გაუმჯობესების თაობაზე:

- პროგრამის დასახელების (ჟურნალისტიკა) და მიზნების ზუსტ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, აკადემიურმა პერსონალმა იმსჯელოს ჟურნალისტიკის პროგრამის მიზნების ჩამონათვალიდან შემდეგი ფორმულირების (ბოლო წინადადება): "აგრეთვე მათ [სტუდენტებს] შეეძლებათ დასაქმდნენ ნებისმიერ კერძო ან სახელმწიფო სტრუქტურების, საერთაშორისო ან არასამთავრობო ორგანიზაციების მედიასთან ან საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში სპეციალისტის პოზიციაზე" ამოღებაზე. ამ პოზიციაზე დასაქმება საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამის მიზნების ნაწილი უფროა, ვიდრე ჟურნალისტიკის პროგრამის. ინტერვიუს მსვლელობისას ამ რეკომენდაციის გათვალისწინების მზადყოფნა გამოთქვა საქართველოს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დირექტორმა ნათია კალაძემ;
- პროგრამის ძირითადი საგნების სილაბუსების ჩაღრმავებული შესწავლისა და ადაკდემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დაზუსტდა ჟურნალისტიკის პროგრამის პრაქტიკული სამუშაოების მოცულობა და ხასიათი. კერძოდ, აუდიო-ვიზუალური მასალების მონტაჟის პრაქტიკის ინტენსივობა და სასწავლო პროცესში გამოყენებული სამონტაჟო პროგრამა. ექსპერტის რეკომანდაციაა იმ კურსების (ჟურნალსიტური ოსტატობა 2/ტელე-რადიო, დოკუმენტური ფილმის მომზადება,მულტიმედია ჟურნალისტიკა, პოლიტიკის და არჩევნების გაშუქება) პრაქტიკა ჟურნალიტიკაში) სილაბუსებში, რომელის სწავლების პროცესშიც აკადემიური პერსონალი და სტუდენტები მუშაობენ არაწრფივი ვიდეომონტაჟის პროფესიულ პროგრამა Adobe Premier-თან, შეტანილი იქნას ინფომარცია ამის შესახებ. ასევე, უფრო დეტალურად აღიწეროს პრაქტიკული სამუშაობის (გადაღება, მონტაჟი) ტიპი, ინტენსივობა და ინსტრუქტორის ვინაობა. სკოლის ხელმძღვანელობასა (სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი ნათია კალაძე) და ლექტორებთან (რუსუდან ცხომელიძე, გოდერძი შარაშია, რუსუდან ვაშაკიძე) ინტერვიუების პროცესში მათ დაადასტურეს ამ შესწორების მნიშვნელობა და განაცხადეს მზადყოფნა შეიტანონ სილაბუბში შესაბამისი დაზუსტებები.
- პრაქტიკული სამუშაობის (გადაღება-მონტაჟი) ინტენსივობის, ტიპის, თანმიმდევრობის დაზუსტება, ასევე ინფომარცია გამოყენებული პროფესიული სამონტაჟო პროგრამის შესახებ უფრო ცხად წარმდგენას შექმნის იმის შესახებ აღეწევს თუ არა კონკრეტული კურსების შინაარსი და მათში გამოყენებული სწავლების მეთოდები დასახულ მიზნებს;

- კურსის დასახელებისა და მისი შინაარსის, ასევე დასახული მიზნებისა და მიზნების მისაღწევად გამოყენებული მეთოდების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, "ჟურნალისტური ოსტატობა 2/ტელევიზია-რადიო" სილაბუსში და შესაბამისად სასწავლო კურში გაძლიერდეს რადიოს სფეციფიკის სწავლების კომპონენტი. განისაზღვროს და დაემატოს რადიო რეპორტაჟების დაგეგმვის, ჩაწერისა და მონტაჟის კომპონენტების სწავლება, ძირითადად პრაქტიკული დავალებებისა და ამოცანების დასახვისა და შესრულების ხარჯზე.
- "მულტიმედია ჟურნალისტიკის" სილაბუსში წინაპირობად შეტანილი იქნას "ჟურნალისტური ოსტატობა 2/ტელევიზია-რადიო" და "ახალი მედია-ტექნოლოგიები" ;
- პროგრამის ძირითადი საგნების სილაბუსებში უფრო დეტალურად განისაზღვროს და აღიწეროს ყოველკვირეული საშინაო დავალებების ამოცანები და შეფასების კრიტერიუმები. ჟურნალისტიკის პროგრამის ეს საგნები ძირითადად დაფუძნებულია პრაქტიკულ მუშაობაზე (აუდიო-ვიდეო გადაღება, მონტაჟი, რეპორატჟის/გადაცემის დაგეგმვა, ჩაწერა, მოტაჟი და ა.შ) რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ჟურნალისტური პროფესიული უნარ-ჩვევების შესაძენად და გამოსაყენებლად. შესაბამისად, ასეთი დაზუსტებების სილაბუსში ასახვა ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს იმის შეფასებას თუ რამდენად მიღწევადია გამოყენებული სწავლის მეთოდებით კურსის ამოცანები და მეორე მხრივ, სტუდენტებისთვის გამჭვირვალეს გახდის შესასრულებელ ამოცანებსა და ამ ამოცანების შესრულების შეფასების კრიტერიუმებს;
- ლექტორებმა და კურსის პრაქტიკული ნაწილის კოსულტანტებმა სილაბუსებში შეიტანონ პირადი საკონტაქო ინფომარცია (ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონი) ასევე, სილაბუსში დაფიქსირდეს კვირის დღე, პერიოდი და სამუშაო ადგილი, სადაც და როდესაც სტუდენტებს ექნებათ ლექტორთან ინდივიდუალური შეხვედრების შესაძლებლობა. აქვე აღვნიშნავ, რომ პროგრამაში ჩართული საკვანძო პირების საკონტაქტო ინფომარცია მითითებულია ონლაინ სისტამაში და სილაბუსების ნაწილში.

ნინო ჯაფიაშვილმა განმარტა რომ, პროგრამის მიზანში არ იყო გამოკვეთილი ის ღირებულებები რომელიც უნდა ჰქონოდა ჟურნალისტს და პროგრამა უფრო მეტად საზოგადოებრივ ურთიერთობებზე იყო ორიენტირებული.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასაქმება პროგრამის მიზანში ზოგადად იყო გაწერილი, პროგრამა პასუხობდა დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს. ამასთან იზიარებდნენ ექსპერტის გარკვეულ რეკომენდაციებს. სილაბუსებთან დაკავშირებით აღნიშნეს, რომ სილაბუსში გაწერილი იყო დავალების ტიპები, ზოგიერთ თემას წიგნშივე ჰქონდა დავალებები და ამიტომ სილაბუსში აღარ იყო მითითებული გვერდები. პროგრამაში ჩართული ადამიანების შესახებ - კურატორი, სუპერვაიზერი და სხვა, მათი ვინაობა ჩანდა ონლაინ-სისტემაში. წინაპირობებთან დაკავშირებით აღნიშნეს, რომ საგანზე დაშვების წინაპირობები ასევე ჩანდა ონლაინ-სისტემაში.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ პროგრამა ნამდვილად იყო ორიენტირებული დასაქმების ბაზარზე, ამასთან დაეთანხმნენ ექსპერტის მოსაზრებას.

საბჭოს წევრმა ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის ძირითადი სპეციალობის საგნები შეადგენდა 108 კრედიტს, ნაცვლად მინიმუმ 120 კრედიტისა, ამასთან საბოლოო პროექტი არჩევითის სტატუსით იყო პროგრამაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაში იყო კიდევ 12 კრედიტი რომელიც ძირითადი სპეციალობის საგნად ითვლებოდა.

ნინო ჯაფიაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ძირითად საგნებში ჰქონდათ გათვალისწინებული ყველაფერი, მაგრამ საბოლოო პროექტი აძლევდა სტუდენტებს საშუალებას განეხორციელებინათ ოცნებები და შემოქმედებითად მიდგომოდნენ, ჟურნალისტიკაში თვითგამოხატვა იყო მთავარი.

12. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საზოგადოებასთან ურთიერთობა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	07
კრედიტების რაოდენობა	240

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა თორნიკე გურულმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული მოსაზრებები პროგრამის გაუმჯობესების თაობაზე:

- ცალკეული საგნების საზოგადოებასთან ურთიერთობის ჭრილში განხილვა.

სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული ცალკეული კურსები საზოგადოებასთან ურთიერთბის მონათესავე სფეროს - ჟურნალისტიკას მიეკუთვნება. ასეთია მაგალითისათვის მულტიმედია ჟურნალისტიკა. სასურველია, თუ ეს საგანი განხილული იქნება საზოგადოებასთან ურთიერთობის ჭრილში და სტუდენტებს უფრო მეტად ასწავლის ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა ვიდეო რელიზის მომზადება, კონტენტ მარკეტინგისათვის მედიის მომზადება და მულტიმედიური კონტენტის შექმნას.

-საგანი „საგამომცემლო საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძველი" ძირითადად შემოიფარგლება QuarkXPress და Adobe Photoshop-ის სწავლებით. სასურველია, სტუდენტებმა შეისწავლონ Adobe Indesign, რადგანაც ამ პროგრამით უფრო მეტად შეძლებენ პროგრამაში გათვლილი მიზნის მიღწევას.

-სასწავლო კურსი „ორგანიზაციის შიდა კომუნიკაცია" / „ინტერნალ ბრენდინგი" დამოუკიდებელ საგნად ჩამოყალიბება. სასურველია, სასწავლო გეგმაში ცალკე საგნად ჩამოყალიბდეს ორგანიზაციის შიდა კომუნიკაციის საგანი, რომელშიც სტუდენტები ისწავლიან ინტერნალ ბრენდინგის ძირითად ასპექტებს.

-პროგრამაში ვხვდებით საქართველოს ისტორიისა და მსოფლიოს ისტორიის სწავლებას დიდი ინტენსივობით და ვერ ვხვდებით ვერცერთ კურსს, რომელიც ფსიქოლოგიის და კერძოდ სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებას შეასწავლიდა სტუდენტებს. სასურველია, თუ ისტორიის კურსების ნაცვლად სტუდენტებს ექნებათ საშუალება შეისწავლონ სოციალური ფსიქოლოგია. ასევე პროგრამაში მწირედ არის წარმოდგენილი კომუნიკაციის თეორიები, რაც საბაკალავრიატო პროგრამისათვის საზოგადოებასთან ურთიერთობაში მნიშვნელოვანია. სასურველია, თუ მსოფლიო ისტორიის სასწავლო კურსს ჩაანაცვლებს სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტებს შეასწავლის კომუნიკაციის თეორიას.

-პროგრამით დასახული მიზნების მიღწევისათვის მნიშვნელოვანია სტუდენტებმა გამოიმუშავონ პრეზენტაციის უნარი და ფლობდნენ კომპიუტერულ პროგრამებს, რომლებიც მათ დაეხმარებათ პრეზენტაციების გასამართავად. სასურველია სასწავლო კურსს „საოფისე კომპიუტერული პროგრამები და ინტერნეტი" დაემატოს Power Point-ის სწავლება.

- სასურველია, უნივერსიტეტმა იზრუნოს პროგრამაში დარგის აკადემიური პერსონალის გაზრდაზე.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტის რეკომენდაციები რელევანტური და მისაღები იყო. მულტიმედია-ჟურნალისტიკა ჟურნალისტიკაზე იყო ორიენტირებული, „ფსიქოლოგია" არჩევითში იყო შეთავაზებული და გადაიტანდნენ ძირითადში.

ნანა გაფრინდაშვილმა იკითხა, რამდენად იყო მიზანშეწონილი საზოგადოებასთან ურთიერთობის საბაკალავრო პროგრამაში ისტორიის ასეთი დატვირთვით სწავლება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მომდევნო სემესტრიდან გაითვალისწინებდნენ ამ შენიშვნას.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში ძირითადი სპეციალობის საგნები იყო 120 კრედიტზე ნაკლები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაში იყო კრედიტების სათანადო მოცულობა იყო უზრუნველყოფილი.

21:20 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება, სხდომა განახლდა 22:30 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის მეორე ნახევარში მიღებული გადაწყვეტილებები:

- შპს- საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია მონიტორინგის პირობით 2014 წლის 15 მაისამდე (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 2); პროგრამა უნდა გამდიდრდეს სპეციალობაზე ორიენტირებული სავალდებულო და არჩევითი საგნებით;
- შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია მონიტორინგის პირობით 2014 წლის 15 მაისამდე (მომხრე - 6; წინააღმდეგი - 0); შესრულდეს სავალდებულო მინიმუმით გათვალისწინებული 120 კრედიტი ძირითადი საგნების მოდულში.
- შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 7; წინააღმდეგი - 0);
- შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი-1);
- შპს - საქართველოს უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი-1);
- შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია მონიტორინგის პირობით 2014 წლის 15 მაისამდე (მომხრე - 5; წინააღმდეგი-2); დაწესებულებას უნდა გაეთვალისწინებინა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული მე-2 და მე-4 რეკომენდაცია.
- შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია მონიტორინგის პირობით 2014 წლის 15 მაისამდე (მომხრე - 5; წინააღმდეგი-2); შესრულდეს სავალდებულო მინიმუმით გათვალისწინებული 120 კრედიტი ძირითადი საგნების მოდულში.

- შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია მონიტორინგის პირობით 2014 წლის 15 მაისამდე (მომხრე - 5; წინააღმდეგი-2). შესრულდეს სავალდებულო მინიმუმით გათვალისწინებული 120 კრედიტი ძირითადი საგნების მოდულში.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 22:40 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ნანა გაფრინდაშვილი

მდივანი
მაია ჩიხლაძე